# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 ოქტომბერი 2005 №228 (2551) ფასი 50 თეთრი




**დარსაძეშ გუნდი შეკრიბა და დახურა**

8



**იბრძენით განსხვავება**

ანუ სად ბანაობს უკრაინა და სად საქართველო

3



**ლელოს აკადემიური**

ფვიმაშ რაგბი დაგვიმძიმა

13

# ალიდიდ ფარი: ბათუმის ახალი ფარი

საფეხბურთო კლუბ „ბათუმს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს — სპარსული ფესვების მქონე ინგლისელი ბიზნესმენი ალიდიდ ფარი.

„ბათუმში" ინგლისური ინვესტიციების ჩადების თაობაზე აქამდეც არაერთხელ თქმულა. იმასაც მოვკარით ყური, თითქოს ბათუმელთა ახალი პატრონი ბადრი პატარკაციშვილის კომპანიონია, თუმცა ოფიციალურად არავის არაფერი დაუდასტურებია.

გუშინ კი ალიდიდ ფარი ბათუმში ჩავიდა და პრესკონფერენციაც გამართა, რაზეც უფრო დაწვრილებით მესამე გვერდზე მოგითხრობთ.

# ასე დაიძაბა შემოდგომა

UEFA CUP

ნიონში გამართული უეფას თასის წილისყრა, როგორც მოსალოდნელი იყო, სახეირო გამოდგა და ამ შემოდგომაზე ბევრი დაძაბული მატჩი გველის. განსაკუთრებით B და H ჯგუფები უნდა გამოვარჩიოთ. პირველ მათგანში მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივმა" „ესპანიოლმა", „პალერმომ", „ბრონდბიუმ" და „მაკაბიმ" მოიყარეს თავი, ხოლო მეორეში „ბეშიქთაშმა" „სევილიამ" „ბოლტონმა", „ზენიტმა" და „გიმარაეშმა". შოთა არველაძის „ალკმაარს" „მიდლსბროსთან", „დნიპროსთან", „გრასჰოპერთან" და „ლიტექსთან" მოუწევს ჭიდილი. შეგახსენებთ, რომ უეფას თასის ჯგუფური ეტაპი 19 ოქტომბერს „ლოკომოტივი" — „ესპანიოლის" მატჩით დაიწყება. დანარჩენ ჯგუფებსა და კალენდარს მეხუთე გვერდზე იხილავთ.







საქართველოსა და ყაზახეთის ეროვნული ნაკრებები ცარიელ „ეროვნულზე“ ითამაშებენ

# დარსაძემ გუნდი შეკრიბა და დახურა

## დიდები ეროვნულზე, პატარები ბოლნისში

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ყაზახეთთან და საბერძნეთთან მოახლოებული ოფიციალური თამაშებისთვის მზადება გუშინ დაიწყო.

ნაკრები უკვე სრული შემადგენლობით შეიკრიბა. გაიოზ დარსაძის განკარგულებაში ოცდაერთი ფეხბურთელია: *გიორგი ლომაია, ზვიად სტურუა, ნუკრი რევიშვილი; კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, კახა მჟავანაძე, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი ხიდეშელი; ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, გოგიტა გოგუა, ჯაბა კანკავა, გიორგი განუგრავა; გიორგი დემეტრაძე, მიხეილ აშვეთია, დავით მუჯირი და რატი წინამძღვრიშვილი* ისედაც იყვნენ გამოძახებულები, თუმცა მათ კიდევ სამი ფეხბურთელი მიემატა, სამივე ზესტაფონელი — *ბექა გოცირიძე, კახა ჩხეტიანი* და *შალვა ლონლაძე.*

მოგეხსენებათ, დარსაძის გადაწყვეტილებით, ეროვნული გუნდი 6 სექტემბრამდე დახურულ ვარჯიშებს გამართავს, ექვსში და შვიდში კი ჟურნალისტებსაც შეეძლებათ წვრთნაზე თვალყურის დევნება, ანუ ვარჯიში ღია იქნება.

გუშინ დილით და საღამოს საქართველოს ნაკრებმა ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ ერთი საათი ივარჯიშა. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსის, სანდრო ცნობილაძის თქმით, ფეხბურთელთა ფუნქციონალური მზადყოფნით დარსაძე ჯერჯერობით კმაყოფილია. ბიჭებმა ბურთითაც ივარჯიშეს და ფიზიკური კონდიციებიც გაიუმჯობესეს.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ საბოლოოდ გადაწყდა, თუ სად უმასპინძლებს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ყაზახეთს — კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები აზიელ თანატოლებს, როგორც ნავარაუდევი იყო, ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ დაუხვდებიან. მატჩი 7 ოქტომბერს 15 საათზე დაიწყება.

რაც შეეხება ეროვნული გუნდებს, საქართველო — ყაზახეთი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. მატჩი საღამოს 8 საათზე დაიწყება.

**გიორგი გაჟაძიძე**



ახალგაზრდულ ნაკრებებს ბოლნისური „თამაზ სტეფანიას“ კარი გაუღეს

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXV ტური

ინტერი 0:1 ჰაკა

### პორტუგალია

სუპერლიგა. VI ტური

ბრაგა 1:0 ნავალი

### იტალია

სერია B. VIII ტური

ვერონა 3:1 ბოლონია

ალბინოლეფე 0:0 კრემონეზე

# ახალგაზრდულის ახლები და ცვლილებები

## კობა ჟორჟიკაშვილი: 1985-წლიანებზე ხელი არ აგვიღია

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინწინ შეიკრიბა მცხეთაში და წინასწარი ცნობით, 7 ოქტომბრამდე სწორედ მცხეთურ „არმაზზე“ უნდა ევარჯიშა, თუმცა გუშინ კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა ძველი დედაქალაქიდან თბილისში გადმოინაცვლა და „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მინდორზე ივარჯიშა. მიზეზი კი წვიმაა... ქართველი 21-წლამდელების შემადგენლობაში ცვლილებებიც მოხდა და ყოველივე ამაზე თავად კობა ჟორჟიკაშვილმა გვითხრა...**



— ასეთ წვიმაში რომ გვევარჯიშა, მცხეთის სტადიონი რას დაემსგავსებოდა, კაცმა არ იცის. უცხოეთში მსგავს პრობლემას სად გადააწყდები, წვიმამ რა უნდა დაგაკლოს... სამწუხაროდ, საქართველოში მოედნის პრობლემა მუდმივია.

**— ტრავმირებული ზაალ ელიავას ნაცვლად „ბორჯომის“ ნახევარმცველი რევაზ გეწაძე გამოიძახეთ. სხვა ფეხბურთელებსაც ხომ არ აწუხებთ რამე?**

— ელიავას საზარდული დაეჭიმა, არადა, ძალიან უნდოდა ნაკრებში ჩამოსვლა. ზაალი ჩვენთვის დიდი ძალაა, ნაკრების ბოლო მატჩებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ღმერთის წყალობით, სხვა ფეხბურთელები მწყობრში არიან — სანდრო იაშვილი და გოჩა ხოჯავაც ვარჯიშებზე კარგად გამოიყურებოდნენ.

**— ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ბექა გოცირიძის ნაცვლად ვინ დაიმატეთ?**

— ლოკომოტიველი გიორგი კახელიშვილი. თუ გაიოზ დარსაძე სხვა ფეხბურთელის გადაყვანასაც მოინდომებს, რეზერვი მექნება. არიან ბიჭები, რომელთა ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება შეიძლება. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ვესწრებით, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდანაც ვაგროვებთ ინფორმაციებს.

**— „რუბინის“ დუბლებში მოთამაშე ზურაბ არზიანზე რას იტყვით?**

— მისი კოორდინატები გავიგეთ და ინფორმაციებიც შევაგროვეთ. არზიანს შანსი აუცილებლად მიეცემა, მას 19-წლამდელთა ნაკრების მოთამაშედაც მოვიაზრებ და მეორე შესარჩევი ეტაპისთვის, ალბათ, გამოვიძახებთ.

**— ახალგაზრდული ნაკრების ბოლო სამ მატჩში თითქმის სულ 1987 და 1988 წელს დაბადებულებს იწვევდით, ახლა კი გეწაძეს, ხოჯავასა და იაშვილსაც მიეცით შანსი. ესე იგი, 1985 წელს დაბადებულებზე ხელი არ აგიღიათ...**

— არავითარ შემთხვევაში. ყველა ღირსეული მოთამაშისთვის ნაკრების კარი ღიაა. კონკრეტულ სამ მატჩში 17-18 წლის ბიჭებს რომ არ ეთამაშათ და გამოცდილება არ შეეძინათ, შესაძლოა, ესტონეთში გამართულ 19-წლამდელთა ევროშესარჩევ ციკლში ასეთი კარგი შედეგი ვერ მიგვეღო.

**— ყაზახეთი თუ არის ისეთი მეტოქე, რომ სიურპრიზი შემოგთავაზოთ? და კონკრეტულად რას ელით მოახლოებული ორი მატჩიდან?**

— ყაზახეთი კი არა, ვინც უნდა იყოს, მოდუნება არ შეიძლება. აგვისტოში მათ მოვუგეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილისში უბრძოლველად რამეს დაგვითმობენ. ყაზახებს უფრო დაცვაში უჭირთ, სხვა რგოლები კი შედარებით დაბალანსებული აქვთ. უახლოეს ორ თამაშში უშუალოდ შედეგის გარდა, ფეხბურთელებსაც დავაკვირდებით, ჩვენ ხომ მომავალი შესარჩევი ციკლისთვისაც ვემზადებით. ამიტომაც წინ უნდა გავიხედოთ.

**ილია ნანობაშვილი**

## geo_geo_fan@hotmail.com

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასასრულს უახლოვდება.

ორი თამაშიც და, საქართველოს ნაკრები მორიგ ცდას ოფიციალურად მიაბარებს მიწას.

თუმცა ნაკრები ახლაც ისეთივე საყურადღებო თემაა ქომაგისთვის, როგორიც ადრე იყო.

ქართული ფეხბურთის ახალი ხელმძღვანელების მუშაობაც საზოგადოებაში არაერთგვაროვან შეფასებებს იღებს — ზოგს მოსწონს მათი მუშაობა, ზოგს არა...

მოკლედ, მოიწერეთ თქვენი მოსაზრებები და ვიმსჯელოთ.

ჩვენი სანაკრებო რუბრიკა აღდგენილია და თქვენს წერილებს ელის...

geo_geo_fan@hotmail.com

# იგრძენით განსხვავება

## ანუ სად ბანაობს უკრაინა და სად საქართველო

*უკრაინა საქართველოზე დიდი ქვეყანაა ტერიტორიულადაც, ეკონომიური თვალსაზრისითაც და, საფეხბურთო განვითარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...*

*ეს ანბანასავით ყველამ იცის და, უბრალოდ, წინასიტყვაობისავით წავიმძღვარეთ, მაგრამ ამხელა განსხვავება?*



გუშინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ და კომპანია „უკრაინა ფუტბოლ ინტერნეშენალმა" ბრიფინგი გაიმართეს, სადაც ფედერაციის პირველკაცმა გრიგორი სურკისმა მუნდიალ 2006-ის მიმდინარე შესარჩევი ციკლის შედეგები შეაფასა. მოგეხსენებათ, ოლეგ ბლოხინის გუნდისთვის ციკლი უკვე დასრულებულია და შესაფასებელიც რაღაა — „ლურჯ-ყვითლებმა" ევროპიდან პირველებმა გაინაღდეს გერმანიის საგზური...

სურკისის საინტერესო განცხადებებს მივადგეთ: „ვფიქრობ, უკრაინის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა პოლიტიკური კუთხითაც უდიდესი მოვლენაა. ალბათ, პოლონეთიც მოახერხებს გერმანია 2006-ის საგზურის მოპოვებას და ამ შემთხვევაში უკრაინა-პოლონეთის მიერ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთობლივი მასპინძლობის შანსი გაიზრდება. გარდა ამისა, უკრაინა 2008 წელს 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობასაც გეგმავს. უეფას წარმომადგენლები უკვე იყვნენ დონეცკსა და კიევში და თითქმის არავითარი შენიშვნა არ ჰქონიათ".

**იგრძენით განსხვავება?** ახლა ისიც ვიკითხოთ, რა თანხა სჭირდება 19-წლამდელთა ევროჩემპიონატის მასპინძლობას... ცხადია, არანაკლები იმ 500 ათასი (გინდ, მილიონი) დოლარისა, რომლის გადახდის საშუალება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არა აქვს და ამიტომაც ეროვნულ ნაკრებს განათლებულ უცხოელ მწვრთნელს ვერ ჩამოუყვანს. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ — არა გვაქვს და არც გვგონია, გაგვიჩნდეს, რადგან ორი წელი ვალები უნდა ვიხადოთო...

ისევ სურკისს მოვუსმინოთ, რომელიც ამბობს, დღეს-ხვალ უკრაინის ნაკრებს მუნდიალზე გასვლისთვის 2 მილიონ დოლარს გადავცემთო. ცხადია, ეს თანხა გარკვეული პროცენტით დაიქვითება, მაგრამ ჯანდაბას, მილიონნახევარი იყოს — ესეც არა აქვს სფფ-ს და თითქმის პირდაპირ ამბობს, არც გვექნებაო...

**იგრძენით განსხვავება?**

შესაძლოა, არასერიოზულად ჟღერდეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, ბლოხინის ნაკრები სპონსორისგან, კონცერნ „ოვერლაინისგან", დამატებით მილიონ დოლარს მიიღებს.

და კიდევ, უკრაინის ნაკრებს ახალი მძლავრი სპონსორი შეემატა კომპანია „კიევსტარის" სახით. კონტრაქტის თანახმად, „კიევსტარი" 15 თვის მანძილზე 7,5 მილიონ დოლარს გამოყოფს...

ერთხელაც გეკითხებით: **იგრძენით განსხვავება?**

სპონსორებს მოზიდვა სჭირდება, თორემ იმის წამდაუწუმ თქმა, დაქცეულ ქვეყანაში ჩამოვედი, ინფრასტრუქტურა გაპარტახებულია და რაც დაგვხვდა, იმით უნდა ვიკვებოთო, ვერაფერი გამოსავალია.

არც უკრაინაა ისეთი აყვავებული და დალხენილი ქვეყანა, ამერიკას და გერმანიას შურით აფითრებდეს...

**ილია ნანობაშვილი**

## თვალი თვალი



*საქართველოს ჩემპიონატის მერვე ტურში თბილისის „დინამომ" „შევარდენზე" 3:0 მოუგო თანაქალაქელ „სპარტაკს" და სანდრო იაშვილმა ორი გოლი შეაგდო — აქედან ერთი აკაკი დევაძეს გაუტანა, მეორე კი შეცვლაზე შესულ გიორგი გაბელიას.*

*ამ ფოტოზე კი, პირველი, რაც გაგახსენდება, ეს ქართული ანდაზაა, მაგრამ...*

*— ვგონებთ, სანდროს თავისი გოლი უფრო მოეწონა...*

## ალიდიდ ფარი: ბათუმის ახალი ფარი

*„ბათუმს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს — ირანული წარმოშობის ინგლისელი ალიდიდ ფარი.*

*იგი ერთ-ერთი კონსორციუმის წარმომადგენელია, რომელიც ძირითადად ინვესტიციებითაა დაკავებული. ამ პიროვნების შესახებ აქამდე მხოლოდ კულუარული ინფორმაცია არსებობდა, გუშინ კი ალიდიდ ფარიმ პრესკონფერენცია მოაწყო და...*

**— რამ განაპირობა თქვენი დაინტერესება ბათუმის „დინამოთი"?**

— პირველ რიგში ფეხბურთის მოყვარული ვარ, როცა შანსი მომეცა, დავხმარებოდი „ბათუმს" სიამოვნებით გადავდგი ეს ნაბიჯი. აქ კარგი, პერსპექტიული ფეხბურთელების აღზრდაც შეიძლება და რეგიონში ფეხბურთის განვითარებაც.

**— კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ?**

— ჩემპიონობა! შემდეგ ევროტურნირებში წარმატების მიღწევა.

**— პირველი ნაბიჯი რა იქნება?**

— ამ ეტაპზე მწვრთნელის მჯერა, ხოლო ახლო მომავალში გაირკვევა, ვინ დარჩება გუნდში და ვინ წავა.

**— საქართველოს კიდევ რამდენ ხანში ესტუმრებით?**

— მე კლუბის პრეზიდენტი ვარ და საქართველოში ხშირად არ ვიქნები, მაგრამ თვეში ორჯერ მაინც გესტუმრებით. ბუნებრივია, კლუბს ყურადღებას მივაქცევ და ყველა მატჩის ჩანაწერს ვნახავ.

**— ქართულ ფეხბურთზე რა იცით?**

— ვიცი, რომ თბილისის „დინამოს" ადრე თასების მფლობელთა თასის მოუგია. თანამედროვე ქართული ფეხბურთი კი, ბოლო თამაშებით თუ ვიმსჯელებთ, კარგ დღეში არ უნდა იყოს. ძალიან მინდა, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს.

**გიორგი მურვანიძე**

***ბათუმიდან***

## ასათიანს ხუთი ტური დარჩა



**რუსული** პრემიერლიგის დამთავრებამდე ხუთი ტურიღა დარჩა და მალხაზ ასათიანს შანსი აქვს, ზედიზედ მეორედ გახდეს ჩემპიონატის საუკეთესო მცველი. ყოველ შემთხვევაში, ასათიანი პოპულარული „სპორტ-ექსპრესის" შეფასებებით ჯერჯერობით პირველ ადგილზეა 6,13 ქულით. მეორეზე არმიელი სერგეი იგნაშევიჩია (6,12 ქულა), ხოლო „ბრინჯაოსან" მარიუშ იოპს 6,05 ქულა აქვს.

ჩვენებური სხვა ნომინაციაშიც ლიდერთა შორისაა — საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელებში ასათიანი მხოლოდ ცეესკას ბრაზილიელ შემტევ დანი კარვალიუს ჩამორჩება.

საინტერესოა, რომ „სპორტ-ექსპრესის" სხვა ნომინაციებში არც ერთი ქართველი არ ფიგურირებს.

**კახა შალამბერიძე**

# რევაზ ბურკაძე: ამ „ტორპედოს" იმ „ტორპედოს" თვალით ვუყურებ



ბადრი კიკოლაძის ფოტო

*ქუთაისის „ტორპედომ" ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „თბილისს" მერაბ ძოძუაშვილის გოლით 1:0 მოუგო, რითაც სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა — საქართველოს სამგზის ჩემპიონი ახლა ცხრილში მეთორმეტე ადგილზეა 7 ქულით.*

*დღეს რევაზ ბურკაძე „სარბიელის" სტუმარია...*

— გუნდში სამუშაო ბევრია და ჩვენც მუხლჩაუხრელად უნდა ვიშრომოთ. „ტორპედოს" საერთო მდგომარეობა ახლა შედარებით ნორმალურია.

**— ყველაზე მეტად რა განერვიულებთ?**

— გუნდური თამაში უნდა ვისწავლოთ, ფიზიკურად უნდა მოვმაგრდეთ. ფაქტობრივად, გამოდის, რომ გუნდში მხოლოდ ერთი ტაიმის ფეხბურთელები მყავს — დღევანდლეობით ასეა. ამ პრობლემის გამოსწორება კი მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე შეიძლება. „ტორპედო" ყოველდღიურად, დღეში ორჯერ ვარჯიშობს და ბიჭებს რომ ვუყურებ, თავს იკლავენ, მონდომებულნი არიან — მეც ეს მაიმედებს.

**— გუნდიდან ვინმეს გამორჩევა თუ შეგიძლიათ?**

— გამორჩევით ვერავის გამოვარჩევ. გვყავს ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელი და ბევრი ახალგაზრდა, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მოუმატებენ, დაღვინდებიან.

**— წლეულს „ტორპედოს" მიზანი რა არის?**

— ჩვენი მთავარი მიზანი თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაა, თანამედროვე ფეხბურთის თამაშს უნდა მიეჩვიოს გუნდი. როცა ამას გამოვასწორებთ, ცხადია, გამარჯვებებიც მოვა და ჩვენი წინსვლა ცხრილშიც აისახება.

**— ალბათ პირველი წრის მერე გაძლიერდებით კიდეც...**

— ეს მარტო ჩემზე არაა დამოკიდებული, ვნახოთ, ფინანსური მდგომარეობა რამდენად შეგვიწყობს ხელს. ისე, სამი-ოთხი ფეხბურთელის დამატება ნამდვილად არ გვაწყენდა. მაგალითად, ბურჯანაძე და შალამბერიძე ფლანგელი ნახევარმცველები არიან, მაგრამ სტაბილურობა აკლიათ. სტაბილურობას თუ მიაღწიეს, ხომ კარგი. კიდევ მცველი და საყრდენი ნახევარმცველი მჭირდება. ფორვარდები ასე თუ ისე არიან.

**— რატომ დაბრუნდა „ტორპედოს" მწვრთნელად რევაზ ბურკაძე?**

— მინდა, შემტევი, მოძრავი, კარგი გუნდი მყავდეს, ისეთი, როგორიც აშვეთია-მეგრელაძე-ჩხეტიანის დროინდელი „ტორპედო" იყო. ისინი მაშინ პირტიტველა ბიჭები მყავდა და იმედი მაქვს, მათ ნაკვალევზე „ტორპედოს" დღევანდელი ფეხბურთელებიც გაივლიან. მათში საკმაო პოტენციალს ვხედავ და იმიტომ. ხურცილავა, ბურჯანაძე, ჯაში, დოლონაძე, გორგოძე და შალამბერიძე ურიგო ფეხბურთელები ნამდვილად არ არიან და ხელს თუ შევუწყობთ, ძალიან კარგი იქნება.

**გიორგი ვაშაკიძე**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი — პირველი ლიგა — 17 — პირველი წრე — 8 ტური

| |
|---|
| ლიახვი 2:6 გაგრა |
| ამერი 2 2:1 ლოკომოტივი 2 |
| ჩიხურა 5:1 მალაროელი |
| მეშახტე 0:0 გურია |
| ზესტაფონი 2 1:2 მერანი |
| ზუგდიდი 0:2 ვიტ ჯორჯია 2 |
| დინამო 2 4:2 თბილისი 2 |
| მეშაქრე 4:1 საგარეჯო |
| მესხეთი 0:0 რუსთავი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 8 | 6 | 1 | 1 | 12:5 | 19 |
| დინამო 2 | 8 | 5 | 2 | 1 | 18:5 | 17 |
| ჩიხურა | 7 | 5 | 1 | 1 | 24:7 | 16 |
| მერანი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:4 | 15 |
| გურია | 8 | 4 | 2 | 2 | 18:10 | 14 |
| რუსთავი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | 14 |
| მეშაქრე | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| გაგრა | 8 | 3 | 4 | 1 | 9:5 | 13 |
| მეშახტე | 8 | 3 | 3 | 2 | 9:5 | 12 |
| მესხეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:8 | 12 |
| საგარეჯო | 8 | 3 | 2 | 3 | 7:9 | 11 |
| ზუგდიდი | 8 | 3 | 2 | 3 | 3:5 | 11 |
| ლოკომოტივი 2 | 8 | 3 | 1 | 4 | 6:10 | 10 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| თბილისი 2 | 8 | 1 | 1 | 6 | 7:18 | 4 |
| მალაროელი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:19 | 4 |
| ლიახვი | 8 | 1 | 0 | 7 | 9:23 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 0 | 0 | 8 | 7:22 | 0 |



ბადრი კიკოლაძის ფოტო

# მე მიყვარს საქართველო!

## ანდრეი პოროშინის ფილოსოფიური შეხედულებები ცხოვრებაზე, ფეხბურთსა და ქუთაისზე

*ანდრეი პოროშინი ხომ გახსოვთ? ერთ დროს ქუთაისის „ტორპედოს" ბომბარდირი ახლა ნალჩიკის „სპარტაკში" თამაშობს და რუსეთის პირველი დივიზიონის საუკეთესო მეგოლეა 34 მატჩში გატანილი 17 ბურთით.*

*უკრაინელი თავდამსხმელი „ტორპედოდან" შარშანწინ წავიდა და მოსკოვის „ლოკომოტივში" ჩაირიცხა, თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა — რკინიგზელებმა ნალჩიკში გაანათხოვრეს.*

*ჰოდა, ახლა პოროშინი პრემიერლიგაში გადასასვლელად სწორედ „სპარტაკთან" ერთად იბრძვის. რუსმა ჟურნალისტებმა კი ანდრეი სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს...*

**— ანდრეი პოროშინის შესახებ რუსეთში პირველად მაშინ შეიტყვეს, როცა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი მოსკოვის „ლოკომოტივმა" მიგიწვიათ...**

— „ლოკომოტივთან" ახლაც კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ამ გუნდში ერთხელაც არ მითამაშია. რამდენჯერმე ვივარჯიშე, მერე კი სარეზერვო გუნდს თურქმენეთში ოთხთა ტურნირზე გავყევი. დავბრუნდი და ნალჩიკში იჯარით გადასვლა შემომთავაზეს. არც შევდავებივარ, ავდექი და ნალჩიკში წამოვედი.

**— და რატომ არ შეედავეთ? თქვენ ხომ არც ისე მდიდარ და პერსპექტიულ კლუბში მიდიოდით...**

— პრეტენზიული არასოდეს ვყოფილვარ. ცხოვრებამ ასე მასწავლა — მთავარია, ითამაშო და ყველაფერი გამოჩნდება.

**— ასეთი ფილოსოფიური შეხედულება საიდან?**

— მოლდოვიდან. 20 წლის ვიყავი, „შერიფში" რომ ჩავირიცხე და მოლდოვის თასი მოვიგე. ჩვენი მწვრთნელი მოსკოვის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მცველი სერგეი ბოროვსკი იყო. მაშინ ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ და კლუბის პრეზიდენტმაც ნახევარი გუნდი ტრანსფერზე დააყენა. ყველას გაგვიკვირდა, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია. ასე მოულოდნელად დავრჩით უმუშევრად...

**— და რას აკეთებდით?**

— მშობლიურ კიროვოგრადში რეგიონის პირველობაზე ვთამაშობდი.

**— ანდრეი კანჩელსკისის ქალაქიდან ყოფილხართ...**

— ანდრეი და რომან მონარიოვი ჩემი მეგობრები არიან, ბავშვობიდან ერთად ვთამაშობდით, კიროვოგრადის „ზვეზდაშიც" ერთად ჩავირიცხეთ...

**— სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებთ?**

— წინადადებები მაქვს, თან უმაღლესლიგური კლუბებიდან, მაგრამ ჯერ არ მინდა იქ წასვლა — რუსეთში კარგად ავთამაშდი.

**— თქვენს ცხოვრებაში საქართველოც იყო...**

— ქუთაისის „ტორპედოსთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონი გავხდი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ვითამაშე. მოკლედ, ევროპა ვნახე. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მე და ჩემს ოჯახს საქართველო ძალიან შეგვიყვარდა. ახლაც ძალიან ხშირად ვურეკავ ჩემ ყოფილ თანაგუნდელებს და იქაურ ამბებს ვიგებ.

**— საიდან გაიგეს ქუთაისში იმ უკრაინელი ფეხბურთელის შესახებ, რომელსაც არცთუ მდიდარი სივი ჰქონდა?**

— ეს ვლადიმერ გუცაევის დამსახურებაა. ერთ-ერთი შეკრებაზე „შერიფი" ამხანაგურ მატჩში ვლადიკავკაზის „ალანიას" შეხვდა. მაშინ გუცაევი „ალანიას" მწვრთნელი იყო და ჩემი შეძენა ვეღარ მოახერხა, მაგრამ როცა „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტი გახდა, უმალ გამიხსენა. იმ დროს უგუნდოდ ვიყავი.

**— საქართველოს ჩემპიონატის დონემ არ გაგაწბილათ?**

— არა, რატომ?! პირიქით, სწორედ იქ ჩამოვყალიბდი ნამდვილ მოთამაშედ. ნორმალური დონეა, ქომაგებიც დადიან სტადიონზე. საერთოდ, ქუთაისელი გულშემატკივარი ყველაზე გამორჩეულია საქართველოში.

**— ახლა კი კავკასიის ჩრდილოეთში, რუსეთში თამაშობთ. ახლანდელ გუნდსაც მაღალი მიზნები აქვს. რა შეუძლია ნალჩიკის „სპარტაკს"?**

— ჩვენთვის ოფიციალურად არავის არაფერი მოუთხოვია.

**— არაოფიციალურად?**

— ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენ გვაქვს პრემიერლიგაში გადასვლის შანსი და ამას ბოლომდე ჩავეჭიდებით.

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონაკო (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | სლავია (ჩეხეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ჰამბურგი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ცსკა (ბულგარეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ვიკინგი (ნორვეგია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | ცსკა — ჰამბურგი<br>ვიკინგი — მონაკო |
| 3 ნოემბერი | ჰამბურგი — ვიკინგი<br>სლავია — ცსკა |
| 24 ნოემბერი | მონაკო — ჰამბურგი<br>ვიკინგი — სლავია |
| 30 ნოემბერი | სლავია — მონაკო<br>ცსკა — ვიკინგი |
| 15 დეკემბერი | მონაკო — ცსკა<br>ჰამბურგი — სლავია |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი (რუსეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | ესპანიოლი (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | პალერმო (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ბრონდბიუ (დანია) | | | | | | | | | | | |
| 5 | მაკაბი (ისრაელი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი<br>20 ოქტომბერი | ლოკომოტივი — ესპანიოლი<br>მაკაბი — პალერმო |
| 3 ნოემბერი | პალერმო — ლოკომოტივი<br>ბრონდბიუ — მაკაბი |
| 23 ნოემბერი<br>24 ნოემბერი | ლოკომოტივი — ბრონდბიუ<br>ესპანიოლი — პალერმო |
| 30 ნოემბერი | ბრონდბიუ — ესპანიოლი<br>მაკაბი — ლოკომოტივი |
| 15 დეკემბერი | ესპანიოლი — მაკაბი<br>პალერმო — ბრონდბიუ |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰერტა (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ლანსი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | სამპდორია (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 4 | სტიაუა (რუმინეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ჰალმშტადი (შვედეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | სტიაუა — ლანსი<br>ჰალმშტადი — ჰერტა |
| 3 ნოემბერი | სამპდორია — სტიაუა<br>ლანსი — ჰალმშტადი |
| 24 ნოემბერი | ჰერტა — ლანსი<br>ჰალმშტადი — სამპდორია |
| 30 ნოემბერი | სტიაუა — ჰალმშტადი<br>სამპდორია — ჰერტა |
| 15 დეკემბერი | ლანსი — სამპდორია<br>ჰერტა — სტიაუა |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალკმაარი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 2 | მიდლსბრო (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 3 | დნიპრო (უკრაინა) | | | | | | | | | | | |
| 4 | გრასჰოპერი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ლიტექსი (ბულგარეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | გრასჰოპერი — მიდლსბრო<br>დნიპრო — ალკმაარი |
| 3 ნოემბერი | ლიტექსი — გრასჰოპერი<br>მიდლსბრო — დნიპრო |
| 24 ნოემბერი | ალკმაარი — მიდლსბრო<br>დნიპრო — ლიტექსი |
| 30 ნოემბერი | გრასჰოპერი — დნიპრო<br>ლიტექსი — ალკმაარი |
| 15 დეკემბერი | მიდლსბრო — ლიტექსი<br>ალკმაარი — გრასჰოპერი |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რომა (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ბაზელი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |
| 3 | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | სტრასბური (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ტრომსიო (ნორვეგია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | ბაზელი — სტრასბური<br>ტრომსიო — რომა |
| 3 ნოემბერი | სტრასბური — ტრომსიო<br>ცრვენა ზვეზდა — ბაზელი |
| 24 ნოემბერი | რომა — სტრასბური<br>ტრომსიო — ცრვენა ზვეზდა |
| 1 დეკემბერი | ცრვენა ზვეზდა — რომა<br>ბაზელი — ტრომსიო |
| 14 დეკემბერი | რომა — ბაზელი<br>სტრასბური — ცრვენა |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცსკა (რუსეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | მარსელი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ჰერენვენი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ლევსკი (ბულგარეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | დინამო (რუმინეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | დინამო — ჰერენვენი<br>ცსკა — მარსელი |
| 3 ნოემბერი | ჰერენვენი — ცსკა<br>ლევსკი — დინამო |
| 24 ნოემბერი | ცსკა— ლევსკი<br>მარსელი — ჰერენვენი |
| 1 დეკემბერი | დინამო — ცსკა<br>ლევსკი — მარსელი |
| 14 დეკემბერი | ჰერენვენი — ლევსკი<br>მარსელი — დინამო |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტუტგარტი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 2 | პაოკ (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | შახტარი (უკრაინა) | | | | | | | | | | | |
| 4 | რენი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | რაპიდი (რუმინეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | შახტარი — პაოკ<br>რენი — შტუტგარტი |
| 3 ნოემბერი | შტუტგარტი — შახტარი<br>რაპიდი — რენი |
| 24 ნოემბერი | შახტარი — რაპიდი<br>პაოკ — შტუტგარტი |
| 1 დეკემბერი | რენი — შახტარი<br>რაპიდი — პაოკ |
| 14 დეკემბერი | პაოკ — რენი<br>შტუტგარტი — რაპიდი |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბეშიქთაში (თურქეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | სევილია (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ბოლტონი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ზენიტი (რუსეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | გიმარაეში (პორტუგალია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 20 ოქტომბერი | ბეშიქთაში — ბოლტონი<br>ზენიტი — გიმარაეში |
| 3 ნოემბერი | ბოლტონი — ზენიტი<br>სევილია — ბეშიქთაში |
| 24 ნოემბერი | ზენიტი — სევილია<br>გიმარაეში — ბოლტონი |
| 1 დეკემბერი | ბეშიქთაში — ზენიტი<br>სევილია — გიმარაეში |
| 14 დეკემბერი | გიმარაეში — ბეშიქთაში<br>ბოლტონი — სევილია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთის ჩე გევარა...



ლუის სეზარ მენოტი

**ლეგენდარული** არგენტინელი მწვრთნელის, ლუის სეზარ მენოტის აზრით, დიდმა ბიზნესმა დიდი ფეხბურთი სავალალო დღეში ჩააგდო. პატაგონიელი სპეციალისტი ორიოდ დღის წინ ჰავანას ეწვია და იქაურ მედიას ხალისით გაესაუბრა.

„ყოველი მუნდიალის მოსვლას პატარა ბავშვივით აღფრთოვანებული ველოდები, ვფიქრობ, სწორუპოვარ ვარსკვლავებს ვნახავ-მეთქი, მერე კი მოედანზე მობურთალების მაგივრად გასავათებული ხალხილა რჩება... მეტი შემოსავლის მიზნით ბიჭებს უამრავ მატჩში სიქას აცლიან" — განაცხადა მენოტიმ.

კომუნისტური კუბის სტუმარს თავისი „მემარცხენე" საფეხბურთო შეხედულებები არ დაუმალავს.

„მსოფლიოს ჩემპიონატი დიდი, შესანიშნავი სცენაა, სადაც განსაკუთრებით მომზადებული უნდა გამოჩვიდე. დღეს პირიქით, ამ სცენას არავინ არ სცემს პატივს, ყველა სარეკლამო მატჩებითა და ფულის შემომტანი შოუ-ლიგებით არის დაკავებული. ვისურვებდი, 2006 წლის მუნდიალი საფეხბურთო კლანების ნგრევის სარბიელი ყოფილიყოს" — ინატრა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა დამრიგებელმა.

რევოლუციონერი მენოტი თავისუფლების კუნძულზე სპორტის ადგილობრივმა კომიტეტმა მიიწვია, რათა იქაური ფეხბურთისთვის გადაეკრა გამოცდილი თვალი. „7-8 წელიწადში კუბის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გააღწევს" — უპატაკა მასპინძლებს სამხრეთელმა.

ვინ სად გააღწევს ჯერ არავინ იცის, ოღონდ მენოტის ფიდელ კასტროს მთავრობაში კი ეკუთვნის ერთი ადგილი, სპორტის მინისტრისა მაინც...

**ლადო ხომერიკი**

# ვინ დაესიზმრა კუპეს?
## ტრეზეგე ანრის მიუჯდა

**დავიდ ტრეზეგე** და გაელ გივე ტრავმის გამო შვეიცარიასთან ვერ ითამაშებენ.

„ინტერთან" მატჩში დაშავებული „იუვენტუსის" ფორვარდი საფრანგეთის ნაკრების ექიმმა ნახა და ვარჯიშზე არ დაუშვა, მკურნალობა გჭირდებაო. ასე რომ, რაიმონ დომენეკს მომავალ შაბათს ბერნში ტრეზეგესა და ანრის გარეშე მოუწევს სტუმრობა.



გრეგორი კუპე

რაც შეეხება მონაკოელ გივეს, მან „ლილთან" შეხვედრაც გამოტოვა, რადგან უეფას თასზე „ტილბურგთან" ნატკენი ფეხი კვლავაც აწუხებს. მწვრთნელმა მის ნაცვლად „ბორდოს" მცველი ფრანკ ჟურიეტი გამოიძახა.

„ლიონისა" და ნაკრების მეკარეს, გრეგორი კუპეს კი თურმე ბარტეზი ესიზმრება, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადა გასდის. ძირითად შემადგენლობაში ადგილის შესაძლო დაკარგვის შიშმა კუპეს ძილი დაუფრთხო.

„ხანდახან მთელი ღამე ვწრიალებ — თქვა ლიონელმა — ადგილის დათმობა არ მსურს. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მინდა. ახლა მხოლოდ შვეიცარიასთან და კვიპროსთან მატჩებზე ვფიქრობ. კარგად თუ ვითამაშებ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი მექნება".

**მაჟა ხუციშვილი**

# მონაკო იტალიელს ჩააბარეს



**იტალიური** მედიის ცნობით ფრანგულ „მონაკოს" ფრანჩესკო გვიდოლინი გაწვრთნის. როგორც **RAIUNO** იუწყება, გალთა სამთავროს კლუბი და აპენინელი სპეციალისტი კონტრაქტის გაფორმების თარიღს სენიორ ფრანჩესკოს დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავს დაამთხვევენ. შეგახსენებთ, რომ აქამდე „მონაკოს" თავკაცი სახელგანთქმული დიდიე დეშანი გახლდათ, რომელმაც თავისი თანამდებობა 2005-06-ის სეზონის დასაწყისში დატოვა ცუდი შედეგების გამო.

ფრანჩესკო გვიდოლინიმ შარშან სერია **B**-ში გაჭედილი „პალერმოს" უეფას თასზე გამსვლელ პოზიციებამდე მიყვანა შეძლო. მერე „ჯენოასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი, ოღონდ ამ კლუბს ოდინდელი მაქინაციების გამო ისევ დაბალ ლიგაში უკრეს თავი და მწვრთნელმაც ხელშეკრულება დაარღვია.

ამიერიდან იტალიელი მაესტრო საფრანგეთის ჩემპიონატიში მეთერთმეტე ადგილზე მყოფ „მონაკოს" უხელმძღვანელებს. გალთა თავკაცობის კანდიდატებად „ლიონის" ძველი ონსტატი პოლ ლე გუენი, ლორან ბლანი, გი ლაკომბი და არგენტინელი რამონ დიასიც ითვლებოდნენ.

**ლადო ხომერიკი**



ლიონელ მესი

# დეპორმა მესის უჩივლა

**„ბარსელონას"** ახალგაზრდა არგენტინელის, ლეო მესის პასპორტთან დაკავშირებული პრობლემები ჯერჯერობით არ მოგვარებულა. სამშაბათ საღამოს „კატალონია რადიოსთან" ინტერვიუში გალისიური „დეპორტივოს", ადვოკატმა ხერმან როდრიგეს კონჩადომ განაცხადა, რომ ოქტომბერს მესის „სარაგოსასთან" ბურთაობის ფაქტს აუცილებლად გაასაჩივრებს,

„დეპორისთვის" და ყველა სხვა გუნდისთვის უპირველეს ყოვლისა მთავარი ერთიანობის პრინციპია. თუ რომელიმე, თუნდაც დიდმა კლუბმა უფლებამოსილებას გადაამეტა, სხვებმა აუცილებლად უნდა აიმაღლონ ხმა. „ბარსას" დამრიგებელ რაიკაარდს ესპანური კანონების მიხედვით „სარაგოსასთან" მესის გამოყვანა არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, მწვრთნელმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს არაგონელებთან ბურთაობის უფლება მისცა. ამას ჩვენ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში და საჭიროების შემთხვევაში უფრო მაღალ ინსტანციებშიც გავაპროტესტებთ" — თქვა პატივცემულმა როდრიგეს კონჩადომ.

„დეპორტივოს" იურისტი „ბარსელონას" მესვეურებს ემუქრება. საქმე ისაა, რომ როგორც სენიორ კონჩადო ამტკიცებს უკვე დაწყებულ პრიმერადივიზიონში გუნდებს ესპანელი მოთამაშის შემატების უფლება არ ჰქონიათ, მესიმ კი გასულ შაბათს „კამპ ნოუზე" ბურთაობის უფლება ორმაგი მოქალაქეობის მიღების შემდეგ მოიპოვა. გალისიელი ადვოკატს თქმით, კატალონიელთა მოიერიშე დეკემბერიანვარის სატრანსფერო ბაზარს უნდა დალოდებოდა, „ბარსელონაში" მისი დებიუტი კანონიერი რომ ყოფილიყო.

„ლეო მესის „ნოუ კამპზე" გამოყვანით პრეზიდენტმა ლაპორტამ და მისმა ბანაკმა ავტომატურად სხვა კანონიც დაარღვიეს. რახან ესპანელთა შემატება [illegible] ვერ ხერხდება, გამოდის „ბარსელონას" თავდამსხმელს „სარაგოსასთან" ისე უთამაშია, როგორც არგენტინელს ანუ არაევროკავშირელს. ახლა კი არაგონელთა წინააღმდეგ რონალდინიოს, სამუელ ეტოოს, რაფაელ მარკესის და ლეო მესის ერთად ბურთაობაც გავიხსენოთ — ერთ გუნდში ოთხი არაევროკავშირელის ერთდროულად მოედანზე ყოფნა არაფრით არ შეიძლება" — კატეგორიული ტონით აღნიშნა როდრიგეს კონჩადომ.

რაც შეეხება „ბარსას" მხარეს, კატალონიური გრანდის პრეზიდენტი ლაპორტა და მწვრთნელი რაიკაარდი საპირისპიროს ამტკიცებენ — ბიუროკრატიული ხლართებით გატანჯული 18 წლის „მეორე მარადონას" „სარაგოსასთან" ჯირითი სრულიად კანონიერი იყო და შესაბამისად „ბარსელონას" არც უეფასა და არც **PFEF**-ის (ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია) წესდება არ დაურღვევია. თუმცა გონებამახვილი კონჩადო აქაც თავისებურ გამოსავალს პოულობს: „ფედერაციის პრეზიდენტი ვილარი ლაპორტას ძმაკაცია და „ბარსას" თავკაციც ასე იმიტომაა გალაღებული. არჩევნების დროს, როცა პრიმერადივიზიონის პროგრესულმა ნაწილმა ხმა ხერარდო გონსალესს მისცა, ხუან ლაპორტა სწორედ ანხელ მარია ვილარს ქომაგობდა. დღეს პრეზიდენტი კატალონიელთა ხელმძღვანელს მადლობას მეგობრულ სამსახურად უხდის".

ერთი სიტყვით, ესპანელთა უძლიერესი ლიგის ჰორიზონტზე [illegible] საავდრო ღრუბელი ჩამოწვა. საქმე შეიძლება უეფამდე ან ფიფამდე მივიდეს. ისე, ცნობისთვის, „ბარსელონა" პრიმერადივიზიონის მეშვიდე ტურში 15 ოქტომბერს სწორედ იმ „დეპორტივოს" ხვდება, რომლის იურისტმაც სხვადასხვა კანონთა დასაცავად ასე გამოიდო თავი.

**ლადო ხომერიკი**

# ფეხბურთით ცოცხლობდა, ფეხბურთით მოკვდა

**ორშაბათ** საღამოს გენუის ტელევიზიის პირველ არხზე ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა: ერთ-ერთი შოუს მიმდინარეობისას, რომელზედაც ადგილობრივ კლუ „ჯენოას“ შესახებ საუბრობდნენ, ამ გუნდის ყოფილი თავკაცი და საკმაოდ ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ფრანკო სკოლიო პირდაპირ ეთერში გულის შეტევით გარდაიცვალა.

სკოლიომ სახელი 80-იან წლებში გაითქვა, როდესაც მშობლიური „ჯენოა“ სერია A-ში დააბრუნა. შემდეგ წვრთნიდა ტუნისისა და ლიბანის ნაკრებებს, ასევე სხვა მრავალ იტალიურ კლუბს. დაბრუნდა „ჯენოაშიც“ და კვლავ წარმატებულად. მას ფეხბურთის სიყვარულისა და უაღრესად დეტალურად ცოდნის გამო „პროფესორი“ შეარქვეს.

64 წლის სპეციალისტი ცუდად მას მერე გახდა, რაც პირდაპირ ეთერში „ჯენოას“ ამჟამინდელმა მფლობელმა ენრიკო პრესიოზიმ დარეკა და მასთან კამათი წამოიწყო. ცხადია, ექიმები მალევე გაჩდნენ სტუდიაში, მაგრამ სკოლიოს გადარჩენა ველარ მოახერხეს. გენუის პირველი არხის შენობასთან კი იმ ღამით ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი და პატივი მიაგო მის ხსოვნას.

„განადგურებული ვარ. „ჯენოა“ ამ კაცის სულში იყო. იგი ბრწყინვალე პიროვნება გახლდათ. ეს ნამდვილი ტრაგედიაა“ — აღნიშნა „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ.

„დაუჯერებელია და არც მინდა, დავიჯერო. რამდენიმე კვირის წინ ვესაუბრე და ვწუხვარ, რომ ეს ჩვენი ბოლო კონტაქტი აღმოჩნდა. იგი ჩემი მწვრთნელი მხოლოდ 18 თვის მანძილზე იყო, მაგრამ ამ ხნის



ფრანკო სკოლიო

განმავლობაში ჩინებულად გავიცანი. სკოლიომ მართლაც ყველაფერი იცოდა ფეხბურთზე, იგი „პროფესორი“ იყო“ — ეს კი „ჯენოასა“ და ჩეხეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდის ტომაშ სკუხრავის სიტყვებია.

**კოკი კანდელაკი**

# მიკელ ობის ლურჯი და წითელი

**სერ ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ 18 წლის ნიგერიელ ნახევარმცველ ჯონ მიკელ ობის მის გუნდში თამაში უნდა, არადა აიძულებენ, რომ უარი თქვას.

ჯონ მიკელ ობიმ აპრილში მოაწერა ხელი კონტრაქტს „მანჩესტერში“ სამომავლოდ გადასვლის თაობაზე, მერე კი განაცხადა, ეს ძალით გამაკეთებინეს, მე „ჩელსიში“ თამაში მინდოდაო.

მაგრამ ფერგიუსონმა თქვა: „მგონია, რომ ეს ტყუილია. ყმაწვილი აიძულეს, რომ ასე ეთქვა. ოჯახი ზეწოლას განიცდის“. ამჟამად მიკელ ობი ოსლოს „ლინში“ თამაშობს და კლუბმა ფიფას სთხოვა, რომ სატრანსფერო საგა თვის ბოლომდე გამოიკვლიოს.

არსებობს აპრილში გადაღებული ფოტო, რომელზეც ნიგერიელს „მანჩესტერის“ მაისურა აცვია და კონტრაქტს აწერს ხელს. მაგრამ მერე, მიკელ ობი თავის აგენტ ჯონ შიტუსთან ერთად ლონდონს ეწვია და „ჩელსისთან“ გააბა მოლაპარაკება.

ფერგიუსონი აცხადებს, რომ ყოველივე აგენტ შიტუს ბრალია, რომელსაც მეტი ფული მოუნდა: „ცუდი ისტორიაა, ხოლო მეთოდი რომლითაც ოჯახს დააწვნენ, საზიზღარი“.

„ლინის“ უფროსობას არ მოსწონს ფეხბურთელის „ჩელსისთან“ ლაპარაკის ისტორია, თუმცა აღიარებს რომ „ჩელსის“ მისთვის არ მიუმართავს. თუ ლონდონური კლუბი ზურგსუკან მოქმედებს, ფიფა მას უეჭველად დასჯის, რადგან „ლინ“-ობი — „მანჩესტერის“ კონტრაქტი ნამდვილია.



მიკელ ობი

**ირაკლი გამყრელიძე**

# სპინელის ფანტაზიები



„ლივორნოს“ ლიდერი კრისტიანო ლუკარელი (წინ)

**გუშინდელ სარბიელში** ვწერდით, რომ „ლივორნოს“ ფორვარდმა კრისტიანო ლუკარელიმ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა, მაგრამ ფეხბურთელმა ამ ინფორმაციას კლუბის პრეზიდენტის ფანტაზიის ნაყოფი უწოდა.

იტალიური მედიის ცნობით, ერთმანეთზე გაბრაზებული ლუკარელი და პრეზიდენტი ალდო სპინელი შერიგდნენ და გასულ უქმეებზე „ფიორენტინასთან“ მატჩის წინ ახალ კონტრაქტი გააფორმეს. სერია A-ს გასული სეზონის ბომბარდირმა გუშინ განაცხადა: „ვერ ვიტყვი, რომ სპინელი მატყუარაა, ის ოპტიმისტი კაცია და ასე იმიტომ თქვა, თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ — კონტრაქტი არ გამოხანგრძლივებია. შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მალე ალბათ პრობლემებს მოვაგვარებთ და ახალ გარიგებაზე ხელს მოვაწერ“.

კრისტიანო ლუკარელიმ, რომელსაც გუშინ 30 წელი შეუსრულდა, დაიჩივლა: „საწყენია, რომ მარჩელო ლიპი ვერ მამჩნევს და ნაკრებში არ მიწვევს“.

**გაგა ხუციშვილი**

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VI ტური

**ბენფიკა 2:1 გიმარაეში**

1:0 მიკოლი (20), 1:1 ტარგიო (33), 2:1 სიმაო (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| ნასიონალი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| სპორტინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:8 | 12 |
| ბრაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 11 |
| ბენფიკა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ბოავიშტა | 6 | 2 | 4 | 0 | 10:6 | 10 |
| სეტუბალი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:2 | 10 |
| რიუ ავე | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ბელენენსეში | 6 | 3 | 0 | 3 | 10:8 | 9 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 3 | 0 | 3 | 5:4 | 9 |
| ფერეირა | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| ამადორა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ნავალი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| აკადემიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| მარიტიმუ | 6 | 0 | 3 | 3 | 5:8 | 3 |
| გიმარაეში | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |
| ლეირია | 6 | 0 | 2 | 4 | 1:10 | 2 |
| პენაფიელი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი VII ტური

**მალაგა B 1:1 ეიბარი**

0:1 მაირაგა (29), 1:1 ფორსელი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 13 |
| ხერესი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:6 | 13 |
| ტენერიფე | 6 | 4 | 0 | 2 | 11:9 | 12 |
| სიუდად მურსია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| ლევანტე | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| ალმერია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| უელვა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| ვალიადოლიდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:9 | 10 |
| ელჩე | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| ხიმნასტიკი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | 9 |
| სპორტინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ერკულესი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ალბასეტე | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| ნუმანსია | 6 | 2 | 2 | 2 | 6:11 | 8 |
| ლეიდა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 7 |
| ლორკა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| მალაგა B | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| პოლი ეხიდო | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | 6 |
| ეიბარი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| ფეროლი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 |
| რეალ B | 6 | 1 | 1 | 4 | 9:10 | 4 |
| კასტელონი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:6 | 4 |

## ჩეხეთი

### პირველი ლიგა VIII ტური

**სლავია 2:1 ბოლესლავი**

**ბანიკი 0:1 პრიბრამი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:5 | 19 |
| ტეპლიცე | 8 | 6 | 1 | 1 | 13:7 | 19 |
| პრჟიბრამი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | 14 |
| ბოლესლავი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:14 | 13 |
| სიგმა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 13 |
| იაბლონეცი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:13 | 12 |
| სლავია | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 12 |
| პლზენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| იჰლავა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | 11 |
| სპარტა | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| მოსტი | 8 | 3 | 0 | 5 | 12:11 | 9 |
| სლოვაცკო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:11 | 8 |
| ზლინი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| ბანიკი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| ბლშანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:16 | 8 |
| ბრნო | 8 | 0 | 4 | 4 | 8:12 | 4 |

## საბერძნეთი

### ნაციონალლიგა V ტური

**ატრომიტოსი 0:1 ქსანთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:1 | 15 |
| ქსანთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| ატრომიტოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| აეკ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| იონიკოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 7 |
| კალამარია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| პაოკ | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ლარისა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| ლევადიაკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ეგალეო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| კრატიტოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ირაკლისი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| პანიონიოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:15 | 2 |
| კალითეა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ოფი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| კალამატა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XII ტური

**ქპრ 1:3 კრ. პალასი**

0:1, 0:2 რიჩი (14; 17), 1:2 ნორსკროფტი (19), 1:3 სუარეში (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 12 | 10 | 0 | 2 | 25:12 | 30 |
| რედინგი | 12 | 8 | 3 | 1 | 21:7 | 27 |
| ლუთონი | 12 | 7 | 3 | 2 | 19:11 | 24 |
| ვულვზი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| უოტფორდი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:15 | 19 |
| ლიდსი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 18 |
| კრ. პალასი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:11 | 17 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 8 | 1 | 13:10 | 17 |
| იფსვიჩი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:17 | 17 |
| ქუინზ პარკი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:15 | 16 |
| სტოკი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:19 | 16 |
| კარდიფი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:14 | 15 |
| ნორვიჩი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:13 | 15 |
| პრესტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ბარნლი | 12 | 3 | 4 | 5 | 18:16 | 13 |
| დერბი | 12 | 2 | 7 | 3 | 16:17 | 13 |
| ჰალი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:10 | 13 |
| ქოვენთრი | 12 | 2 | 6 | 4 | 15:18 | 12 |
| ლესტერი | 12 | 2 | 6 | 4 | 12:15 | 12 |
| პლიმუთი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:16 | 12 |
| ბრაიტონი | 12 | 1 | 7 | 4 | 12:17 | 10 |
| უენსდი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| მილუოლი | 12 | 2 | 4 | 6 | 10:18 | 10 |
| ქრიუ | 12 | 1 | 6 | 5 | 11:20 | 9 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა VIII ტური

**ბოხუმი 1:0 მიუნხენი**

1:0 მალტრიცი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 8 | 5 | 3 | 0 | 14:5 | 18 |
| კოტბუსი | 8 | 5 | 1 | 2 | 18:11 | 16 |
| პადერბორნი | 8 | 5 | 0 | 3 | 15:9 | 15 |
| ბრაუნშვაიგი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:7 | 14 |
| კარლსრუე | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 14 |
| ფრაიბურგი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:7 | 14 |
| მიუნხენი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:10 | 13 |
| ფიურტი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ალემანია | 8 | 4 | 0 | 4 | 16:13 | 12 |
| ზიგენი | 8 | 3 | 2 | 3 | 13:10 | 11 |
| დინამო | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| აუე | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 10 |
| ოფენბახი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:18 | 10 |
| ბურგჰაუზენი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:9 | 8 |
| ჰანზა | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| უნტერჰახინგი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:13 | 5 |
| ზაარბრიუკენი | 8 | 1 | 1 | 6 | 3:21 | 4 |
| ალენი | 8 | 0 | 3 | 5 | 8:17 | 3 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXIV ტური

**იურგორდენი 6:1 ჰალმშტადი**

**მალმიო 5:0 ლანდსკრონა**

**სუნდსვალი 3:0 ჰეკენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 24 | 15 | 4 | 5 | 52:25 | 49 |
| გიოტებორგი | 24 | 13 | 7 | 4 | 32:17 | 46 |
| მალმიო | 24 | 12 | 5 | 7 | 37:24 | 41 |
| კალმარი | 24 | 10 | 9 | 5 | 33:20 | 39 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 12 | 3 | 9 | 32:35 | 39 |
| ჰამარბი | 24 | 10 | 7 | 7 | 39:28 | 37 |
| იორგრიტე | 24 | 10 | 4 | 10 | 35:35 | 34 |
| ელფსბორგი | 24 | 9 | 7 | 8 | 32:35 | 34 |
| ჰეკენი | 24 | 10 | 2 | 12 | 27:28 | 32 |
| ჰალმსტადი | 24 | 8 | 5 | 11 | 33:36 | 29 |
| ლანდსკრონა | 24 | 7 | 6 | 11 | 23:40 | 27 |
| გეფლე | 24 | 7 | 4 | 13 | 22:32 | 25 |
| სუნდსვალი | 24 | 5 | 7 | 12 | 28:43 | 22 |
| ასირისკა | 24 | 4 | 2 | 18 | 17:44 | 14 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXIII ტური

**ბრანი 2:1 ვიკინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 23 | 13 | 5 | 5 | 41:26 | 44 |
| ვოლერენგა | 23 | 13 | 5 | 5 | 38:23 | 44 |
| ლინი | 23 | 11 | 7 | 5 | 30:19 | 40 |
| ლილესტრიომი | 23 | 11 | 4 | 8 | 32:28 | 37 |
| ვიკინგი | 23 | 11 | 4 | 8 | 34:31 | 37 |
| ბრანი | 23 | 10 | 5 | 8 | 39:25 | 35 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 9 | 3 | 11 | 22:45 | 30 |
| ჰამ კამი | 23 | 8 | 4 | 11 | 27:33 | 28 |
| რუსენბორგი | 23 | 8 | 3 | 12 | 43:40 | 27 |
| ტრომსიო | 23 | 6 | 9 | 8 | 27:29 | 27 |
| მოლდე | 23 | 8 | 3 | 12 | 36:42 | 27 |
| ფრედრიკსტადი | 23 | 7 | 5 | 11 | 30:41 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 23 | 6 | 5 | 12 | 28:35 | 23 |
| ალესუნდი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:34 | 23 |



ოლივერ კანმა ვერონიკას მიუჭახუნა



მაგათი „ალავერდს“ გადადის

# რავარია ბავარია?



როი მაკაი ცოლით და „ორი გოლით“



სებასტიან დაისლერი და მისი დეპრესიიდან გამომყვანი ქალბატონი



ფილიპ ლამი უქალოდ

ბავარიაში ოქტომბერფესტი გახურებულა. „ბაიერნის“ ფეხბურთელებმა სავარჯიშო მოედანი ლუდხანაში გადაიტანეს და ერთმანეთს კათხების გამოცლაში ეჯიბრებიან.

ოლივერ კანი ტრავმირებულია, მაგრამ ექიმს მისთვის ლუდის დალევა არ აუკრძალავს. გვერდით რომ პირლია გოგო უზის, ვერონიკაა — მეორე ცოლი.

მაგათსაც კანის ბედი გაუზიარებია, სიბერეში მეორე ცოლი მოუყვანია და ბავშვს აწვდის შენ მოუარე, სუფრას უნდა მივხედოო.

კარგად დააკვირდით როი მაკაის ოჯახს. ბიჭს მამის ვარცხნილობაა აქვს, გოგოს დედის.

სებასტიან დაისლერს შერშანდელმა დეპრესიამ ღიმილი დაუკარგა, მაგრამ გვერდს რომ მკერდსავსე ქალი უმშვენებს, მისი წყალობით გამოძვრა.

ფილიპ ლამი უქალოდაა და ოქტომბერფესტზე ეგებ საცოლესაც მიაგნოს, ხოლო ბასტიან შვაინშტაიგერს უკვე მიუგნია და მოუყვანია კიდეც.

მეჰმეთ შოლი „საძმოში“ ჩამჯდარა და კათხის გამოცლას ორიოდ ყლუპი უკლია. შოლი ლუდხანის მუდმივ კლიენტს უფრო ჰგავს, ვიდრე პროფესიონალ ფეხბურთელს, ბიქსენტ ლიზარაზუს კი უკვე მიურთმევია ლუდი და ობიექტივს ეკრიჭება.



ბასტიან შვაინსტაიგერი საცოლესთან ერთად



შოლი ისე არ დაბერებულა, კათხა რომ ვერ აწიოს



შუაში „ლიზა“, აქეთ-იქით ლუდის მსმელები



„სანტიაგო ბერნაბეუს“ ხედი

# ნაკურთხი მიწის ლეგენდა

*როდის გახსნეს? 1947 წლის 14 დეკემბერს. საფუძვლად რა უდევს? „რეალი“, მადრიდის „რეალი“ ანუ, სწორედ რომ ვთქვათ „რეალ მადრიდი“, ორგანიზაცია, რომელსაც ფიფამ 2000 წელს მეოცე საუკუნის უდიდესი საფეხბურთო კლუბი უწოდა. ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში, ემილიო ბუტრაგენიო, რონალდო, რაული, ზინედინ ზიდანი.... ეს ის ხალხია ვისაც მრავალ სხვა დიადთან ერთად მის მინდორზე სასწაულები ჩაუდენია და სჩადის. მისი ტრიბუნების წინ გამართულა უამრავი დიდი მატჩი, მათ შორის 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. სწორედ აქ იზეიმა 1964 წელს „ლა ფურია როხამ“ ანუ ესპანეთის ნაკრებმა ჯერჯერობით ერთადერთი ევროპის ჩემპიონობა.*

*და იცით რა არის ძალიან საინტერესო? ის, რომ ნაგებობა, რომელზეც მოგეხსენებთ და რომელსაც „სანტიაგო ბერნაბეუ“ ეწოდება, მაშინ მადრიდის გარეუბანში ააგეს, დღეს კი ეს გარეუბანი ხმაურიანი ფინანსური ცენტრია*

„სანტიაგო ბერნაბეუს“ მშენებლებს ბევრი ეუბნებოდა, რომ 120 ათასიანი ნაგებობა არავის არასდროს დასჭირდებოდა, ანუ ის, რასაც ისინი აკეთებდნენ მამალი სიგიჟე იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ეს გახლდათ ეპოქა, როდესაც გიჟები მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც ჩნდებოდნენ და აშენებდნენ სტადიონებს, რომელთა დასახელებაზე დღეს ყველა ნამდვილ ქომაგს ეიფორია იპყრობს.

...1964 წელი. ესპანეთში ხენერალისიმო ფრანკოს დიქტატურაა გამეფებული. 21 ივნისს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მასპინძელთა ნაკრები საბჭოთა კავშირს უგებს.

ვაშა და დიდება, ფრანკოს მისი რეჟიმის განდიდების საშუალება ეძლევა. ხომ ხედავთ, ესპანეთში ყველაფერი დიდებულადაა, ესპანეთი უძლეველია, ესპანეთმა კომუნისტებს მოუგო! არადა, დიქტატორმა ევროპის პირველი ჩემპიონატიდან თავისი ქვეყნის ნაკრები არც მეტი არც ნაკლები გამოითხოვა, რადგან მეოთხედფინალში სწორედ კომუნისტებს უნდა შეხვედროდენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ 1964 წელს, როდესაც მასპინძლები პერედას გოლით მეექვსე წუთზევე დაწინაურდნენ, ორ წუთში კი ხუსაინოვმა საჯარიმოთი გაუთანაბრა.

შემდეგ, საათი უკვე მატჩის დამთავრებას ახლოვებდა, პერედამ საჯარიმოში მარჯვნიდან მაღალი ბურთი რომ ჩააწოდა, ხოლო მარსელინიომ რატომღაც უმწეოდ ქცეულ ლევ იაშინს თავური დარტყმით გაუტანა — ასე მოიგო ესპანეთმა პირველი და ჯერჯერობით ბოლო საერთაშორისო ჯილდო...

...1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ესპანეთში გაიმართებაო და „სანტიაგო ბერნაბეუს“ დიდი რეკონსტრუქცია დაატყდა თავს. ტევადობა 90 ათასამდე შემცირდა, დაინერგა იმ დროისთვის თანამედროვე ტექნოლოგიები, სარეკლამო საშუალებები და სხვა.

და მაინც რა სხვა? რა და ის, რომ იტალიელმა მარკო ტარდელიმ თავი საგანგებოდ ჩაწერა ისტორიის წიგნში. გინდათ გითხრათ როგორია ეს ფორმა? ის მორბის ველური გამომეტყველებით, პირი დაღულია და ღრიალებს, ხელები გაშლილია. არა, ასეთ გარეგნობას, ამგვარ გამომეტყველებას ცხოვრებაში ერთხელ ნახავ კაცი. ეს ხომ დადგმული არ არის — „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იტალიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს 3:1 მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ვიღაცამ თქვა, მაშინ იტალია გაცილებით შემოქმედებით ფეხბურთს თამაშობდაო... ფიფას თასი „სკუადრა აძურას“ იმხანად 40 წლის კაპიტანს, დინო ძოფს ესპანეთის მეფემ ხუან კარლოს პირველმა გადასცა.

...ზოგადად შესაძლოა არსებობდეს დიადი სტადიონი, მაგრამ იგი დიადი გუნდის ბინა არ იყოს. „სანტიაგო ბერნაბეუ“ ამ მხრივაც სრულყოფილია, მის კედლებში „რეალი თამაშობს“. 1956-1960 წლებში ანუ ალფრედო დი სტეფანოს ეპოქაში, მადრიდელებმა პირველი ხუთი ჩემპიონთა თასი მოიგეს, 1966 წელს კი მეექვსეც დაამატეს.

და რაკი სიტყვამ ჩემპიონთა თასი მოიტანა, ჩავხედოთ დავთრებს, რამდენჯერ გამართულა დიდ სტადიონზე დიდი საკლუბო შეჯიბრების ფინალი? სამჯერ! — ასეთია პასუხი. ერთხელ ეს ამბავი 1957 წელს მოხდა, როდესაც „რეალმა“ „ფიორენტინას“ 2:0 მოუგო, მეორედ 1969-ში, როდესაც წარმოუდგენელმა „მილანმა“ იოჰან კრუიფის საოცარი „აიაქსი“ 4:1 დაამარცხა და მესამედ 1980-ში, როდესაც „ნოტინგემ ფორესტმა“ „ჰამბურგს“ 1:0 აჯობა.

და ესპანურ ამბებს აღარ იკითხავთ? რამდენი „რეალი“ — „ბარსა“ უნახავს „სანტიაგო ბერნაბეუს“, „კოპა დელ რეის“ რამდენი ფინალი... სხვათაშორის ხსენებული ფინალი ნებისმიერ ესპანურ სტადიონზე ხშირად სწორედ აქ გამართულა. სწორედ აქ გაუფუჭა გუნება „რეალს“ „დეპორტივომ“ 2002 წელს — ასი წლის თავზე საიუბილეო ფინალში სერხიოსა და დიეგო ტრისტანის გოლებით 2:0 მოუგო.

1992 წელს ტრიბუნებზე შესვლა-გამოსვლის გასაადვილებლად სტადიონს ოთხი კოშკი დაამატეს. ჩატარდა სხვა სამუშაოებიც და საბოლოოდ „სანტიაგო ბერნაბეუმ“ თანამედროვე ხუთვარსკვლავიანი იერი მიიღო. მომავალში ნაგებობა უდიდეს ტრანსფარანტიანი ჭერითაც უნდა გადაიხუროს. აბა, მერე ნახეთ მეტოქეთა მუხლების კანკალი...

**პაპუნა ჭედია**



„რეალის“ ორი ლეგენდა — პრეზიდენტი სანტიაგო ბერნაბეუ (მარცხნივ) და ალფრედო დი სტეფანო

## საინტერესოა, რომ...

*არქიტექტორებმა ლუის ალემანი სოლერმა და მანუელ მუნიოს მონასტერიომ სასტადიონედ შერჩეული მიწის ნაკვეთი აკურთხებინეს და 1944 წლის 27 ოქტომბერს პირველი ქვა ჩადეს საფუძველში. სტადიონს „ჩამარტინი“ ეწოდა.*

*1955 წელს სტადიონს სანტიაგო ბერნაბეუს სახელი დაარქვეს. სანტიაგო ბერნაბეუ გახლდათ „რეალ მადრიდის“ ლეგენდარული პრეზიდენტი, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩაეყარა საფუძველი უდიდეს ტრადიციებსა და „სამეფო გუნდმა“ ბევრ წარმატებასაც მიაღწია.*

*მიწა, რომელზეც სტადიონი აშენდა 1944 წელს 20 ათასი ამერიკული დოლარი ღირდა. მშენებლობაზე დაიხარჯა 275 ათასი მაშინდელი დოლარი.*

*„სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოედანი სიგრძეში 106, ხოლო სიგანეში 66 მეტრია.*

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | ბორნმუთი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 22:45 | 4 | ტრანმერი-სქანთორპი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 6 | როტერჰემი-ბარნსლი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 15:30 | 7 | იოვილი-სუონსი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 16:00 | 8 | უოლსოლი-დონსი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 16:00 | 9 | სუინდონი-პორტ ვეილი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 10 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 11 | ბლეკპული-კოლჩესტერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 12 | საუთენდი-ნოტინგემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 14 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:45 | 15 | გრიმსბი-ვიკომბი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:45 | 16 | ლინკოლნი-ჩელტენჰემი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 22:45 | 17 | მენსფილდი-შრუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 22:45 | 18 | ნოტსი-ბოსტონი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 22:45 | 19 | ოქსფორდი-კარლაილი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:45 | 20 | როვერსი-ნორთჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 21 | ჩესტერი-როჩდეილი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 22 | რაშდენი-ბერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:45 | 23 | ტორკი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 24 | სტოკპორტი-ლეიტონი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 518 | სტივენეიჯი-დაგ ენდ რედი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 521 | როსი-ერდრი | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 522 | სტირლინგი-ალოა | 2.35 | 3.50 | 2.45 | 1.40 | 1.19 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 523 | პიტერჰედი-ეარი | 2.30 | 3.50 | 2.45 | 1.38 | 1.18 | 1.44 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 524 | ისტ ფაიფი-არბროთი | 1.90 | 3.60 | 3.20 | 1.24 | 1.19 | 1.69 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 525 | ბერიკი-ელგინი | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 41 | მოდენა-კროტონე | 1.75 | 2.90 | 4.60 | 1.09 | 1.26 | 1.77 |
| 22:30 | 42 | პესკარა-ვიჩენცა | 2.10 | 2.70 | 3.50 | 1.18 | 1.31 | 1.52 |
| 22:30 | 43 | პიაჩენცა-ატალანტა | 2.60 | 2.70 | 2.70 | 1.32 | 1.32 | 1.35 |
| 22:30 | 44 | ტრიესტინა-ტერნანა | 1.75 | 2.90 | 4.50 | 1.09 | 1.25 | 1.76 |
| 22:30 | 45 | არეცო-ტორინო | 2.50 | 2.70 | 2.75 | 1.29 | 1.30 | 1.36 |
| 22:30 | 46 | ბარი-მანტოვა | 2.70 | 2.70 | 2.65 | 1.35 | 1.33 | 1.33 |
| 22:30 | 47 | ბრეშა-რიმინი | 1.60 | 3.10 | 5.50 | 1.05 | 1.23 | 1.98 |
| 22:30 | 48 | კატანძარო-აველინო | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 22:30 | 49 | ჩეზენა-კატანია | 2.35 | 2.70 | 3.00 | 1.25 | 1.31 | 1.42 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 70 | პერუჯა-ტორესი | 1.70 | 2.90 | 5.50 | 1.07 | 1.29 | 1.89 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 182 | ჩიკაგო-ნიუ იორკი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:45 | 183 | კოლორადო-ჩივასი | 1.40 | 3.80 | 6.20 | 1.02 | 1.14 | 2.35 |
| 23:45 | 184 | დალასი-კოლამბუსი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 23:45 | 185 | სოლტ ლეიკი-ვაშინგტონი | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:10 | 194 | ბოკა ხუნიორს-ტირო ფედერალი | 1.10 | 6.30 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.24 |
| 23:45 | 195 | ოლიმპო-რივერ პლეიტი | 2.25 | 3.00 | 2.95 | 1.28 | 1.27 | 1.48 |
| 23:45 | 196 | ინდეპენდიენტე-ნიუელზი | 1.55 | 3.50 | 4.70 | 1.07 | 1.16 | 2.00 |
| 23:45 | 197 | როსარიო-კილმესი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |
| 23:45 | 198 | სან ლორენსო-არგ. ხუნიორსი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 199 | ხიმნასია ჟ-არსენალი | 2.45 | 3.00 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 200 | ინსტიტუტო-ხიმნასია ლპ | 2.15 | 3.00 | 2.85 | 1.25 | 1.22 | 1.46 |

**ბრაზილია**

**5 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 205 | ფიგეირენსე-ბოტაფოგო | 1.95 | 3.20 | 3.20 | 1.21 | 1.21 | 1.60 |
| 23:45 | 206 | ვასკუ და გამა-კრუზეირო | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 207 | ფორტალესა-ატლეტიკო პრ | 1.80 | 3.30 | 3.65 | 1.16 | 1.20 | 1.73 |
| 23:45 | 208 | პალმეირასი-პაისანდუ | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 23:45 | 209 | ინტერნასიონალი-სან პაულუ | 1.80 | 3.30 | 3.55 | 1.16 | 1.19 | 1.71 |
| 23:45 | 210 | ფლუმინენსე-კორინთიანსი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 211 | ბრაზილენსე-ფლამენგო | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |

**მჩ. შესარჩევი**

**მატჩები**

**8 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 245 | კოლუმბია-ჩილე | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:45 | 246 | ბოლივია-ბრაზილია | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 23:45 | 247 | ვენესუელა-პარაგვაი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 23:45 | 248 | ეკვადორი-ურუგვაი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 17:00 | 250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 22:15 | 251 | ხორვატია-შვედეთი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 19:00 | 252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 253 | ფინეთი-რუმინეთი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 19:00 | 254 | ინგლისი-ავსტრია | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 22:45 | 256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 18:00 | 257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 19:00 | 258 | რუსეთი-ლუქსემბურგი | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 19:00 | 259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 20:15 | 260 | უკრაინა-ალბანეთი | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 20:50 | 261 | ისრაელი-ფარერები | 1.05 | 8.00 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.53 |
| 21:00 | 262 | კვიპროსი-ირლანდია | 9.50 | 4.70 | 1.25 | 3.14 | 1.10 | 1.00 |
| 21:00 | 263 | ლიტვა-სერბეთი | 5.30 | 3.80 | 1.50 | 2.21 | 1.16 | 1.07 |
| 22:00 | 264 | ბოსნია-სან მარინო | 1.03 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 22:00 | 265 | დანია-საბერძნეთი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 22:15 | 266 | ნორვეგია-მოლდოვა | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| 22:30 | 267 | ჩეხეთი-პოლანდია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 22:45 | 268 | ბელგია-ესპანეთი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 23:00 | 269 | იტალია-სლოვენია | 1.25 | 4.60 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.15 |
| 23:45 | 270 | პორტუგალია-ლიხტენშტეინი | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 249 | არგენტინა-პერუ | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |

**ამხანაგური მატჩები**

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 519 | პოლონეთი-ისლანდია | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 14:20 | 520 | ლატვია-იაპონია | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |

**8 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 272 | თურქეთი-გერმანია | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |

**ევ. შესარჩევი მატჩები(21)**

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 273 | ფინეთი(21)-რუმინეთი(21) | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 18:40 | 274 | ჩეხეთი(21)-პოლანდია(21) | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 275 | დანია(21)-საბერძნეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 19:00 | 277 | უკრაინა(21)-ალბანეთი(21) | 1.10 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 19:00 | 278 | რუსეთი(21)-ლუქსემბურგი(21) | 1.01 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 19:00 | 279 | სლოვაკეთი(21)-ესტონეთი(21) | 1.10 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 17:00 | 280 | კვიპროსი(21)-ირლანდია(21) | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 21:30 | 281 | შვეიცარია(21)-საფრანგეთი(21) | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 23:00 | 282 | იტალია(21)-სლოვენია(21) | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |
| 22:00 | 283 | ნორვეგია(21)-მოლდოვა(21) | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 22:30 | 284 | შოტლანდია(21)-ბელარუსი(21) | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 22:45 | 285 | ინგლისი(21)-ავსტრია(21) | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.30 |
| 22:30 | 286 | გერმანია(21)-უელსი(21) | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| 22:30 | 287 | ბელგია(21)-ესპანეთი(21) | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 20:00 | 288 | ლიტვა(21)-სერბეთი(21) | 4.30 | 3.50 | 1.60 | 1.92 | 1.16 | 1.09 |
| 17:00 | 289 | ბოსნია(21)-სან მარინო(21) | 1.05 | 9.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.62 |
| 17:00 | 290 | ბულგარეთი(21)-უნგრეთი(21) | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 17:30 | 291 | ხორვატია(21)-შვედეთი(21) | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |

**იაპონია**

**თასი**

**5 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 293 | იოკოჰამა-გამბა | 2.55 | 3.10 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 14:00 | 294 | იჩიჰარა-ურავა | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |

**ჰოკეი**

**NHL**

**5 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 350 | ფლორიდა-ატლანტა | 2.15 | 4.00 | 2.40 | 1.39 | 1.13 | 1.50 |
| 23:45 | 351 | ვაშინგტონი-კოლამბუსი | 2.10 | 4.00 | 2.50 | 1.37 | 1.14 | 1.53 |
| 23:45 | 352 | ბუფალო-აილენდერსი | 2.10 | 4.00 | 2.25 | 1.37 | 1.08 | 1.44 |
| 23:45 | 353 | ფილადელფია-რეინჯერსი | 1.55 | 4.00 | 4.10 | 1.11 | 1.12 | 2.02 |
| 23:45 | 354 | ბოსტონი-მონრეალი | 2.00 | 4.00 | 2.60 | 1.33 | 1.13 | 1.57 |
| 23:45 | 355 | ტამპა ბეი-კაროლინა | 1.80 | 4.10 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.73 |
| 23:45 | 356 | დეტროიტი-სტ.ლუისი | 1.70 | 4.10 | 3.10 | 1.20 | 1.09 | 1.76 |
| 23:45 | 357 | ნიუ ჯერსი-პიტსბურგი | 1.80 | 4.10 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.73 |
| 23:45 | 358 | ტორონტო-ოტავა | 2.25 | 4.00 | 2.30 | 1.44 | 1.13 | 1.46 |
| 23:45 | 359 | ნეშვილი-სან ხოსე | 2.25 | 4.00 | 2.30 | 1.44 | 1.13 | 1.46 |
| 23:45 | 360 | დალასი-ლოს ანჯელესი | 2.00 | 4.00 | 2.60 | 1.33 | 1.13 | 1.57 |
| 23:45 | 361 | ჩიკაგო-ანაჰაიმი | 2.10 | 4.00 | 2.50 | 1.37 | 1.14 | 1.53 |
| 23:45 | 362 | მინესოტა-კალგარი | 2.45 | 4.00 | 2.10 | 1.51 | 1.13 | 1.37 |
| 23:45 | 363 | ედმონტონი-კოლორადო | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 23:45 | 364 | ვანკუვერი-ფენიქსი | 1.65 | 4.00 | 3.50 | 1.16 | 1.12 | 1.86 |

**ჰოკეი**

**შვეიცარია**

**5 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 474 | ციურიხი-ბერნი | 2.00 | 4.10 | 2.45 | 1.34 | 1.10 | 1.53 |



რამდენიმე წელიწადია, ქართული ფრენბურთის სახელი ავად თუ კარგად საერთაშორისო არენაზე ქალთა ნაკრებს გააქვს. რეპორტაჟების წერაც მხოლოდ მათი თამაშებიდან გვიწევს, მომავალი წლიდან კი ევროპირველობის შესარჩევ ეტაპზე ქართველი ვაჟები ჩაერთვებიან. გუშინ ფრენბურთის ფედერაციაში ჩატარებული პრესკონფერენციის უმთავრესი თემაც სწორედ ეს იყო.

# კაცები იწყებენ, ქალები?

**ფედერაციის** პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა საუბარი ახლახან გამართული აღმასკომის სხდომით დაიწყო:

— აღმასკომმა რამდენიმე საკითხი განიხილა. ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილება ნაკრების მწვრთნელების დანიშვნა იყო. ქალთა ნაკრების თავკაცი ნუგზარ მიქაძე თანამდებობაზე დარჩა, ვაჟებს კი ირაკლი ჩაჩუა ავარჯიშებს.

პრეზიდენტს მხარს თავად ჩაჩუა უმშვენებდა და ნაკრების გეგმა-პერსპექტივაზეც თქვა:

— ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ძველი წესების თანახმად, ცუდრეიტინგიან ნაკრებებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი B ჯგუფიდან უნდა დაეწყოთ და ორი წელიწადი დაეკარგათ. საბედნიეროდ, ეს წესი შეიცვალა და საქართველოს ნაკრები თავიდანვე ძლიერებში გაერევა. გუნდი ახლა უნდა შეიქმნას და მის ამბიციებზე ლაპარაკიც ნაადრევია, თუმც მომავალს იმედიანად ვუყურებთ. ძირითად შემადგენლობას ლეგიონერები შეადგენენ. ნაკრების ლიდერი ალექსანდრე ჯიოშვილი იქნება, რომელიც საფრანგეთში თამაშობს. წინა ევროპის ჩემპიონატზე იქაურ ნაკრებში მხოლოდ იმიტომ ვერ ითამაშა, რომ ტრავმა ჰქონდა. მასთან უკვე ვისაუბრეთ და ჩვენი შეთავაზება სიამოვნებით მიიღო. ერთი ჩვენი ფრენბურთელი ირანის ჩემპიონატში მონაწილეობს, ოთხი კი თურქეთისაში. მათ გარდა უცხოეთში კიდევ რამდენიმე ქართველია წასული და ძიების პროცესი გრძელდება.

შესარჩევი ეტაპი სავარაუდოდ ივნისში დაიწყება. მანამდე ჩვენი ვაჟები უცხოურ პირველობებს მოილევენ და აპრილის ბოლოს თბილისში შეიკრიბებიან. ივნისშივე უნდა დაიწყოს ქალთა შორის შესარჩევი შეჯიბრებაც თუმც საქართველოს ნაკრების იქ თამაში ჯერაც სათუოა.

„2007 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა — 20 ნოემბერს ლუქსემბურგში შედგება — გვითხრა ახვლედიანმა — მასში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები 15 ოქტომბრამდე უნდა წარადგინონ საერთაშორისო ფედერაციაში. მოგეხსენებათ, შვედეთთან თამაშის შემდეგ აგორებული სკანდალის გამო ჩვენს ნაკრებს დისკვალიფიკაცია მისცეს. ჩვენ გავაპროტესტეთ და საკითხის განხილვა ჯერაც გრძელდება. იმედია, 15 ოქტომბრამდე სასურველ პასუხს მივიღებთ“.

პრესკონფერენციის დასასრულს პრეზიდენტმა პლაჟის ფრენბურთიც ახსენა. ოქტომბრის ბოლოს ბრაზილიაში მივდივარ და ალბათ ორი იქაური სპორტსმენის საქართველოს ნაკრების სახელით თამაშიც საბოლოოდ გადაწყდებაო. ოქტომბრის ბოლოსვე იწყება საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელშიც 11 გუნდი ითამაშებს. ვაჟები ნოემბერში 6-8 გუნდით დაიწყებენ, 11 ნოემბერს კი სპორტის სასახლეში დასავლეთი და აღმოსავლეთი უკვე ტრადიციულ „პირველი ლედის თასს“ გაითამაშებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# გამყრელიძე კაროლინას ელის



**დღეს** ვინც ახალგაზრდაა და რაიმე პერსპექტივა აქვს, ყველას საზღვარგარეთისკენ უჭირავს თვალი. მიზეზი მარტივია: საქართველოში არც განვითარებისთვისაა ხელსაყრელი ვითარება და ფინანსური დაინტერესებაც თითქმის არ არსებობს. ამიტომაც საზღვარგარეთული დესანტისთვის ემზადება ლაშა გამყრელიძე, რომელმაც გასული სეზონი თბილისის „დინამოში“ გაატარა, სექტემბერში კი სანაკრებო მატჩებშიც მონაწილეობდა.

ოღონდაც, თუ დღეს ახალგაზრდები ძირითადად ევროპისკენ მიიწევენ, გამყრელიძეს თვალი ოკეანესგაღმისკენ უჭირავს. მისი სამიზნე სამხრეთ კაროლინის ერთ-ერთი სკოლაა, სადაც ის ისწავლის კიდეც და საუნივერსიტეტო გუნდში გადასასვლელადაც მოემზადება.

„ახლა საბუთების მოწესრიგება მიმდინარეობს და თუ ყველაფერი გამოვიდა, ალბათ ორ კვირაში ამერიკაში გავემგზავრები — გვითხრა ლაშა გამყრელიძემ — იქ არ მივდივარ ისე, როგორც მხოლოდ კალათბურთელი. სამხრეთ კაროლინაში სწავლაც მომიწევს და პარალელურად სკოლის საკალათბურთო გუნდშიც ვითამაშებ. როგორც ვიცი, ეს იქნება უნივერსიტეტისთვის მოსამზადებელი ერთწლიანი სკოლა, რომელსაც არა „ჰაისქული“, არამედ „პრესქული“ ჰქვია. იქ თუ თავს გამოვიჩენ, მერე უნივერსიტეტის გუნდებში გზა ხსნილი მექნება. საქართველოში დარჩენაზე არც ვფიქრობ და თუ ამერიკაში ვერ წავედი, არ ვიცი, რომელ გუნდში ვითამაშებ. ახლა „დინამოში“ ვვარჯიშობ და შესაძლებელია, დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირზეც ამ გუნდში ვითამაშო“.

**ირაკლი პერტაია**

# წმინდა ანტონიოს დინასტია
## პარკერის ოცნება ოლ სტარია

ტონი პარკერმა ამ ზაფხულს ნბა-ს საჩემპიონო ბეჭედი მოიგო და როცა სერბეთში ევროპირველობაზე მიდიოდა, ცხადია, ოქროზე ფიქრობდა. საფრანგეთის ნაკრებმა ჩინებულად დაიწყო ჩემპიონატი, ნახევარფინალშიც გავიდა, მაგრამ იქ ბერძნებისაგან ბოლო წამებზე დაშამათდა და ბრინჯაოს დასჯერდა. ფრანგების წინამძღოლი, რა თქმა უნდა, ტონი პარკერი გახლდათ, რომელიც კარგად კი გამოიყურებოდა, მაგრამ არა ისე, როგორც „სან ანტონიოში“ საჩემპიონო სეზონისას. ეს ინტერვიუ ამერიკელმა ჟურნალისტებმა პარკერს ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჩამოართვეს და ძირითადად სანანტონიურ ამბებზე ესაუბრნენ...



**— რას ფიქრობთ, როცა გესმით სიტყვა დინასტია?**

— ვხვდები, რასაც გულისხმობთ. ჩვენ ვცდილობთ, რომ „სან ანტონიოს“ ისტორიაში საკუთარი ადგილი დავიმკვიდროთ. ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძვით, თუმც ვფიქრობ, რომ ეს მთლიანი გუნდის დამსახურებაა. მე 23 წლის ვარ, ტიმ დანკანი 29-ის, ხოლო მანუ ჯინობილი 28-ის. როგორც ხედავთ, ჯერ ახალგაზრდები ვართ და თუ ერთად ვიქნებით და მოვინდომებთ, კიდევ ორი-სამი ტიტულის მოგებაც შეგვიძლია.

**— როგორ შეაფასებთ იმ ტრანსფერებს, რომელიც „სან ანტონიომ“ ამ ზაფხულს განახორციელა?**

— ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი რობერტ ჰორის შენარჩუნება იყო. ასევე ძალიან წაგვადგება ობერტოს შემატება. ხომ ისედაც ძლიერი წინა ხაზი გვყავდა და ახლა უფრო გავძლიერდით. უკანა ხაზში კი მე და მანუს ნიკ ვან ექსელი და მაიკლ ფინლი შემოგვემატა. ამას დაუმატეთ ახალბედა ბენო უდრიჰი, რომელსაც კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ფინალებში თავი ვერ გამოიჩინა.

**— და ჩვენ გვახსოვს განრისხებული გრეგ პოპოვიჩის სახე...**

— პოპოვიჩი ძალიან მომთხოვნი მწვრთნელია — განსაკუთრებით ახალბედების მიმართ. ის ძალიან გაბრაზებული იყო ბენო უდრიჰზე ფინალებში, რაც კარგი გაკვეთილი გამოდგა მისთვის და მჯერა, რომ მომავალ სეზონში უდრიჰი მნიშვნელოვნად გამოასწორებს თამაშს.

**— თქვენი მეტოქე გუნდების სიახლეებზე რას იტყოდით?**

— ვფიქრობ, რომ „ფინიქსი“ დაიხვეწა, მაგრამ ეს ცალმხრივად განვითარებას ჰგავს და არა მგონია, რომ ეს გუნდი შარშანდელზე ძლიერი იქნება. „ფინიქსის“ დაცვა გაცილებით ძლიერია თავდასხმაზე და ეს ჰარმონიულობას არღვევს. „მაიამიმ“ კი კიდევ შეიმატა ვარსკვლავები. შაკილ ონილი და დუეინ უეიდი ხომ ჰყავდათ და ახლა ანტუან უოლკერი და ჯეისონ უილიამსიც მათთანაა. ახლა დეიმონ ჯონსი სამიანებს უფრო გაბედულად ტყორცნის, რადგან ფარქვეშ უილიამსის სახით კარგი მომხსნელი დაემატათ. „დეტროიტი“ ისევ ისეთი ძლიერია. ერთი სიტყვით, კონკურენტებიც გაძლიერდნენ ჩვენთან ერთად.

**— ევროპის ჩემპიონატზე თამაში რას ნიშნავს შენთვის?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მე ჩემი ქვეყნის სახელს 14 წლიდან ვიცავ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში და ძალიან ბევრი ტკბილი მოგონება მაქვს. 18-წლამდელებში ევროპის ჩემპიონები გავხდით, ახლა კი ეროვნულ ნაკრებში გამარჯვების ჯერიც დადგა.

**— ოქროს მედლის მოპოვების როგორი შანსი გაქვთ?**

— ჩემი ოცნება იყო ნბა-ში თამაში. ახლა, როცა ნბა-ს ჩემპიონი გავხდი, ოლ სტარში თამაშზე ვოცნებობ. თუმც ახლა მხოლოდ საფრანგეთის ნაკრებზე ვფიქრობ. ევროპის ჩემპიონობაზე, რა თქმა უნდა, ვოცნებობ, თუმც ალბათ ძნელი იქნება ოქროს მოგება.

**— „სან ანტონიომ“ რამე პრობლემა ხომ არ შეგიქმნა ნაკრებში თამაშთან დაკავშირებით?**

— მცირე პრობლემები ჰქონდა. პოპოვიჩს არ მოეწონა ჩემი ნაკრებში წასვლა, რაც გასაგებია — მას თავისი გუნდის ინტერესების დაცვა ავალია და არ სურს მისი მოთამაშეების გადატვირთვა. ტრავმის ალბათობაც საკმაოდ მაღალია. მე და მან უკვე ვისაუბრეთ და ავუხსენი, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ნაკრებში თამაში. ჩემი ოცნება მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე თამაშია.

## მაგთიკომის პირველობა
## უმაღლესი ლიგა 4 ოქტომბერი. V ტური

# ლელოს აკადემიური



პირველი გაფუჭებული საჯარიმოს შემდეგ, მეორის დარტყმისას ფეხი არ აჰკანკალებია და ანგარიში 3:5 გახდა.

„აკადემიის“ მხრიდან ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა გიორგი ელიზბარაშვილმა. ტაიმში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა და პირველი ორმოცწუთეულიც „აკადემიის“ სასარგებლოდ, 8:3 დასრულდა.

მეორე ტაიმში წვიმამ იმატა და როგორც აღვნიშნეთ, ტექნიკური წუნიც საკმაოდ მომრავლდა. შედარებით უკეთ „ლელო“ გამოიყურებოდა, მაგრამ სათამაშო უპირატესობას ნამდვილად არ დაუფლებია, უბრალოდ, ყინი ეტყობოდა ოდნავ მეტი.

ირაკლი ყიასაშვილმა საჯარიმო დარტყმით სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა, თუმც „აკადემიკოსთა“ მხრიდან ელიზბარაშვილმა კიდევ ორჯერ შეძლო სამქულიანის დარტყმა და ანგარიში 6:14 გახდა.

ამ საჯარიმოებს შორის „ლელომ“ ლელოს გატანაც მოახერხა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, ბურთი ჩათვლის მოედნის ხაზს გასცდაო. საკამათო ეპიზოდი იყო, სწორედ ისეთი, კარგად გამართულ ჩემპიონატებში მსაჯები ვიდეოგამეორების შემდეგ რომ იძლევიან პასუხს. აბა, ჩვენ ამის ფუფუნება ვინ მოგვცა, ამიტომაც არაფრის მტკიცებას არ დავიწყებთ. უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ მსაჯი უფრო ახლოს იდგა ბურთთან და იქნებ ჩვენზე უკეთაც დაინახა, რა მოხდა.

ასე იყო თუ ისე, ეს ლელო არ ჩაითვალა, თუმცა მალე „ლელოელებმა“ თავისი მაინც გაიტანეს. შეცვლაზე შესულმა ჩიტაძემ ბურთი საკუთარ ჩათვლის მოედანთან მოიხელთა, დაიძრა და მეტოქის ჩათვლის მოედანს ისე უწია, კაცი არ გაიკარა.

11:14-ზე „ლელომ“ კიდევ ერთხელ სცადა გაბრძოლება, მაგრამ რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ბურთი მეტოქის ნახევარზე აუტში ვერ გადააგდო და „აკადემიკოსებმაც“ „მასპინძლები“ საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს.

ეს ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ გიორგი ქოპილაშვილმა ბრწყინვალე არეკნი გაიტანა. ანგარიში 11:17 გახდა და მატჩის ბოლომდე აღარც შეცვლილა.

**ლადო ფულუძიძე**

### ლელო 11:17 აკადემია

**ლელო:** სანდრო თოდუა, დავით ცხაკაია, გიორგი მჭედლიშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, ედიშერ ჯამრულიძე; ირაკლი ყიასაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი; გიორგი ხაბეიშვილი, დავით დაუშვილი, კობა ცერცვაძე, ირაკლი დაუშვილი, დავით ქუბრიაშვილი, შოთა ცხოვრებაშვილი, სერგი ტვილდიანი

*შეცვლაზე შევიდნენ: მანჯავიძე, დავით ჩიტაძე*

*1 ლელო: ჩიტაძე; 2 საჯარიმო: კვირიკაშვილი, ყიასაშვილი*

**აკადემია:** გიორგი ელიზბარაშვილი, გიორგი ლამბაშიძე, დენის პინჩუკოვი, ივანე სულამანიძე, როლანდ ბატოიანი; ლევან ხუხუნეიშვილი, გიორგი ქოპილაშვილი; გელა სირბილაძე, ვასო მჭედლიძე, ბაჩო ჩიკვაიძე, სოლომონ ქარუხნიშვილი, გიორგი ნებულიშვილი, თენგიზ ბელანტია, ირაკლი ნატრიაშვილი, ვასო ბანდელიძე

*შეცვლაზე შევიდნენ: ბექა გელაძე, მიშა კობახიძე*

*1 ლელო: ბელანტია; 3 საჯარიმო: ელიზბარაშვილი; 1 არეკნი: ქოპილაშვილი*

### ყოჩები 12:21 ხულიგანა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | 121:32 | 8 |
| 2 ხულიგანა | 4 | 2 | 0 | 2 | 73:76 | 4 |
| 3 ლელო | 4 | 2 | 0 | 2 | 78:83 | 4 |
| 4 აკადემია | 4 | 1 | 1 | 2 | 61:81 | 3 |
| 5 ყოჩები | 4 | 0 | 1 | 3 | 44:105 | 1 |

**მაგთიკომის** პირველობის მეხუთე ტურმა პირობითი მასპინძლებისთვის უიღბლოდ ჩაიარა. ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი „ლოკომოტივი“ ისვენებდა, დანარჩენებმა კი ჩვეულებისამებრ ვარკეთილის მეურნეობისა და „ლოკომოტივის“ სავარჯიშო მოედნებზე იბურთავეს.

ვარკეთილში „ყოჩები“ „ხულიგანას“ ხვდებოდნენ და 12:21 წააგეს, ვაკეში კი უფრო დაძაბული ბრძოლა შედგა. „ლელო“ მასპინძლის სტატუსით შეერკინა „აკადემიას“ და ბოლო წუთამდე იბრძოლა კიდეც მატჩის გადასარჩენად, თუმც საბოლოო ჯამში ეს ვერ მოახერხა და 11:17 წააგო.

მსაჯის სასტარტო სასტვენი და წვიმის წამოსვლა ერთი იყო. ამინდმა აშკარად დაღი დაასვა თამაშს. ატალახებულ მოედანზე სველი ბურთის დაჭერა გართულდა და გუნდებს კომბინაციური თამაში გაუჭირდათ, რაც მეორე ტაიმში უფრო იგრძნობოდა.

პირველ ნახევარში საგრძნობი სათამაშო უპირატესობა არც ერთ გუნდს არ მოუპოვებია, თუმც თენგიზ ბელანტიას მიერ მეთხუთმეტე წუთზე გატანილმა ლელომ „ლელოელები“ გამოაცოცხლა და ისინიც გასათანაბრებლად გაეწყვნენ. შანსი მალევე მიეცათ, თუმც კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ „აკადემიკოსებმა“ მეტოქე ზედ ჩათვლის ხაზთან შეაჩერეს.

ცოტა ხანში მერაბ კვირიკაშვილმა მაინც შეძლო სხვაობის შემცირება.





დანიელა ჰანტუხოვა

# ფილდერშტადტში ქალთა ვარსკვლავთკრებულია

**WTA**

**ფილდერშტადტი. გერმანია**
**მაგარსაფარი.**
**საპრიზო 650 000 დოლარი**

**I წრე**

**ფლავია პენეტა** (იტალია) — ჯულია შრუფი (გერმანია) — 7:5; 6:2;
**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — მეგან შონესი (აშშ) — 6:4; 6:0;
**დინარა საფინა** (რუსეთი) — სანდრა კლოსელი (გერმანია) — 6:2; 6:2

**გერმანიის** ქალაქ ფილდერშტადტში ორშაბათს დაწყებულ ტურნირზე მეტად ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. ტურნირის 650 000 დოლარიანი ფონდისთვის ერთმანეთს ეცილებიან ისეთი გამოჩენილი ჩოგბურთელები, როგორებიც არიან: ამერიკელი ლინდსი დევენპორტი, ბელგიელები — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ჰენენ არდენი, რუსები — ელენა დემენტიევა და ელენა ლიხოვცევა და ასე შემდეგ.

მოკლედ, ეს ტურნირი საინტერესო უნდა გამოდგეს. ამჯერად კი პირველი წრის მხოლოდ სამი თამაშის მიმოხილვას შემოგთავაზებთ. მეორე წრეში საკმაოდ იოლად გავიდა იტალიელი ფლავია პენეტა, რომელმაც ორ სეტში შეძლო მასპინძელ ჯულია შრუფის დამარცხება. იტალიელისვის ეს წლეულს მოპოვებული 33-ე გამარჯვება იყო, მისი მომავალი მეტოქე კი ჟუსტინ ენენ არდენი იქნება, რომელიც ტურნირზე მეოთხე ნომრად არის განთესილი.

არ გასჭირვებია თავისი მატჩის მოგება სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვასაც, რომელმაც ორი სეტი იკმარა ამერიკელი შონესის დასამარცხებლად.

სლოვაკი ფილდერშტადტში უკვე მეხუთედ გამოდის, ხოლო ყველაზე დიდ წარმატებას აქ 2002 წელს მიაღწია, როცა ფინალში გავიდა. მისი მომავალი მეტოქე კი შვეიცარიელი პატი შნიდერი იქნება.

იოლად გასცდა პირველ წრეს მარატ საფინის და დინარაც — მისთვის ეს წლეულს მოგებული 30-ე მატჩი იყო. საფინა ფილდერშტადტში პირველად ასპარეზობს, დინარას მომავალი მეტოქე კი მისივე თანამემამულე ანასტასია მისკინაა

**ATP**

**მეცი. საფრანგეთი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 232, 250 ევრო**

**I წრე**

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 3) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) — 7:6, 6:3;
**რობინ სოდერლინგი** (შვედეთი, 5) — ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) — 7:6; 6:4;
**აუგუსტინ კალერი** (არგენტინა) — ნიკოლას მასუ (ჩილე, 8) — 7:5; 7:5;
**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 4) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) — 6:3; 6:3

**ორშაბათს** საფრანგეთის ქალაქ მეცში დაიწყო ATP-ის მორიგი ტურნირი, სადაც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.

პირველი წრე იოლად გაიარა ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ, რომელმაც მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ბრაზილიელ მელოს. მეორე წრეში ასევე იოლად გააღწია კიდევ ერთმა განთესილმა მოთამაშემ, შვედმა რობინ სოდერლინგმა.

ეს ბარიერი ასევე ადვილად დაძლიეს წლევანდელი დევისის თასის ფინალისტი ნაკრებების, ხორვატიისა და სლოვაკეთის ლიდერებმა — ივან ლიუბიჩიჩმა და დომინიკ ჰრბატიმ. ისინი თავიანთ მეტოქეებს ორ-ორ სეტში გაუსწორდნენ.

და ბოლოს, პირველი სენსაცია თუ არა, მოულოდნელობა ნამდვილად მოხდა, ტურნირის დასაწყისშივე, რადგანაც თავისი მატჩი წააგო მერვე ნომრად განთესილმა ჩილელმა ნიკოლას მასუმ. მას არგენტინელმა აუგუსტინ კალერიმ ორივე სეტში ბრეიკი მეთორმეტე გეიმში გაუკეთა და ერთნაირი ანგარიშით — 7:5 7:5 დაამარცხა



ნიკოლაი დავიდენკო

**კახა ლომაყვილი**

# სიდნი კროსბი თუ ალექსანდრ ოვეჩკინი

დღეს იწყება NHL-ის მორიგი, 88-ე რეგულარული ჩემპიონატი. გუნდების წარდგენას აღმოსავლეთი კონფერენციის კლუბებით დავიწყებთ, მით უმეტეს, რომ საგაზაფხულო ტრეიდების შემდეგ ლიგის სუპერვარსკლავების უმეტესობა სწორედ ამ კონფერენციაში შეიკრიბა. თანაც სეზონის მთავარი ინტრიგაც აქ არის: რომელი სუპერდებიუტანტი დაიწყებს უკეთ კარიერას, სიდნი კროსბი (პიტსბურგი) თუ ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი).



ალექსანდრ ოვეჩკინი



სიდნი კროსბი (წინა პლანზე)

## აღმოსავლეთ კონფერენცია
## სამხრეთ აღმაოსავლეთის დივიზიონი

### ატლანტა თრეშერსი

*მოვიდნენ:* მარიან ჰოსა, ბობი ჰ ოლიკი, გრეგ დევრიზი, მაიკ დანემი, იაროსლავ მოდრი.

*წავიდნენ:* დანი ჰიტლი, შონ მაკიკერნი.

3003-04:+33=12-37 და XI ადგილი კონფერენციაში

**ჯერ** კიდევ სამი წლის წინათ ყველას ეგონა, რომ სუპერდუეტ ილია კოვალჩუკის და დანი ჰიტლის წყალობით „ტრეშერებს“ განადგებული ჰქონდათ უდრეკელი მომავალი, მაგრამ დღესდღეობით გუნდში არც ერთია და არც მეორე. ჰიტლი პარადული მიზეზით წავიდა (მომხდარ ავტოკატასტროფაზე არაერთხელ ვწერეთ), ხოლო კოვალჩუკი ახალ კონტრაქტზე ედავება კლუბს. 22 წლის მეგოლე 7 მილიონ დოლარს ითხოვს და რუსეთიდან წასვლას ჯერ არ აპირებს.

### ტამპა ბეი ლაითნინგი

*მოვიდნენ:* შონ ბურკი, რობ დიმაიო.

*წავიდნენ:* ნიკოლაი ხაბიბულინი, კორი სტილმანი, ბრედ ლაკოვიჩი.

2003-04: +46=28-8 და სტენლის თასი

**მწვერვალის** დაპყრობა ერთია, მასზე დარჩენა კი სულ სხვა. საჩემპიონო სეზონში „ელვებს“ დიდად არავინ აფასებდა, ახლა კი თასის მოუგერიებელი მფლობელის ყველა მგელივით უყურებს. გუნდმა ძირითადად შეინარჩუნა შემადგენლობის ბირთვი, მაგრამ ბრწყინვალე მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი ვერ დაიტოვა და ძნელი დასაჯერებელია, რომ შონ ბურკი მას სრულფასოვნად შეცვლის.

### კაროლინა ჰარიკეინსი

*მოვიდნენ:* კორი სტილმანი, ოლეგ ტვერდოვსკი, რეი უიტნი, მაიკ კომოდორი, მარტინ გერბერი.

*წავიდნენ:* ჯეფ ონილი, შონ ჰ ილი.

2003-04: %28!20-34 და XI ადგილი კონფერენციაში

**სანამ** გუნდის მთავარი პრიორიტეტად რაც შეიძლება დაბალი ბიუჯეტით ილიას გასვლა რჩება, დიდ მიზნებზე ლაპარაკი ზედმეტია. თუმც ზაფხულში ჩატარებულმა სამუშაომ წესით უნდა შეაჩეროს „ქარიშხლების“ ვარდნა, რომელიც მათთვის მოულოდნელად კარგი 2002 წლის სეზონის შემდეგ დაიწყო. მაშინ გუნდი ფინალში გავიდა.

### ფლორიდა პანტერსი

*მოვიდნენ:* ჯო ნუინდაიკი, გერი რობერტსი, მარტინ ჟელინა, კრის გრეტონი, იოზეფ შტუმპელი, შონ ჰილი.

2003-04: +28=19-35 და მე-12 ადგილი კონფერენციაში

**რაც** მთავარია, „ფლორიდა“ აღარაა ახალგაზრდების გამოუცდელი გუნდი. ხუმრობაა, ბოლო სეზონის ყველაზე სტაჟიანი 26 წლის ოლი იოკინენი იყო. ახლა „პანტერებს“ ყველა ხაზში საკმაოდ კვალიფიციური ვეტერანები ჰყავთ, ხოლო ახალი თავკაცის ჟაკ მარტენის და ამჟამად მენეჯერ მაიკ კინენის დუეტი ულევად იმედის მომცემი ჩანს.

### ვაშინგტონ კაპიტალსი

*მოვიდნენ:* ენდრიუ კესელსი, კრის კლარკი, მეტიუ ბირონი.

2003-04 +23=13-46 და XIV ადგილი კონფერეციაში

**ბოლო** სეზონში ულიმღამო თამაშის შემდეგ გუნდმა უნიჭიერესი ალექსანდრ ოვეჩკინი აიყვანა პირველ ნომრად, მაგრამ იმავე სიდნის კროსბისგან განსხვავებით, ოვეჩკინს ოსტატური გარემოცვა როდი ჰყავს. ძნელი წარმოსადგენია, რომ კარიერის დასასრულს მიახლოვებული ენდრიუ კესელსი მისთვის შესაფერის გამთამაშებლად იქცეს. კლუბის არცთუ ისეთ სერიოზულ გეგმებზეც ისიც მეტყველებს, რომ საუკეთესო მცველი ბრენდან უიტი უკვე რომელიმე ძლიერ გუნდში გადასვლაზე ოცნებობს.

## ატლანტის დივიზიონი

### ფილადელფია ფლაიერსი

*მოვიდნენ:* პეტერ ფორსბერგი, ჯონ სიმი, დერიან ჰეჩერი, მაიკ რატიე, კრის ტერიენი, მაიკ კნუბლი

*წავიდნენ:* ჯერემი რენიკი, ტონი ამონტე, ჯონ ლეკლერი, დანი მარკოვი, შონ ბურკი, ალექსეი ჟამნოვი.

2003-04 %40!21-21 და თასის ნახევარფინალი

**შესაძლოა,** „ფილადელფია, ლიგაში საუკეთესო გუნდია. ისე, ამას „მფრინავებზე“ ლამის ყველა სეზონში ამბობენ, მაგრამ ყოველთვის რაღაცა არ ჰყოფნით მიზნის მისაღწევად (თუნდაც ბოლო სეზონი გავიხსენოთ და ნახევარფინალში „ტამპასთან“ 3:4 მარცხი). თუმც, წლეულს გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა მართლაც რომ სასწაულად გააძლიერა გუნდი. ახლა მთავარი ისაა, შეძლებს თუ ვერა პეტერ ფორსბერგი სეზონი ტრავმების გარეშე ჩაატაროს.

### ნიუ ჯერსი დევილსი

*მოვიდნენ:* ფორვარდი ალექსანდრ მოგილნი, მცველები დან მაკგილისი, ვლადიმირ მალახოვი.

*წავიდნენ:* მცველები სკოტ სტივენსი, სკოტ ნიდერმაიერი, ფორვარდი იან ჰრდინა.

2003-04: +43=27-12 და თასის მერვედფინალი

**ძნელი** წარმოსადგენია, როგორ შეძლებს ორი სუპერმცველის, სტივენსის და ნიდერმაიერის გარეშე დარჩენილი გუნდი ლიგის ელიტაში დარჩენას. თანაც პატრიკ ელიაშმა რუსეთში ასპარეზობისას ჰეპატიტ „ა“ აიკიდა და სეზონის დასაწყისს გამოტოვებს, ხოლო დღესდღეობით კლუბის ბიუჯეტი 39 მილიონ დოლარს აღემატება. ასე რომ, „ეშმაკებს“ რომელიღაც ლიდერის გაშვება მოუწევთ. თუმც სანამ კარში მარტინ ბროდოა, „ნიუჯერსის“ ჩამოწერა არ შეიძლება.

### ნიუ იორკ აილენდერსი

*მოვიდნენ:* მიროსლავ შატანი, ალექსეი ჟიტნიკი, მაიკ იორკი, ბრენტ სოპელი, ბრედ ლაკოვიჩი.

*წავიდნენ:* ადრიან ოკოინი, მაიკ პეკა, მარიუშ ჩერკავსკი, რომან ჰ ამრლიკი

2003-04: +43=16-23 და თასის მერვედფინალი

**„აილენდერსი“** უარესი გუნდი მაინც არ გახდება. ხოლო თუ მიროსლავ შატანი („ბუფალოში“ აშკარად შეზღუდული იყო სათამაშო სქემების გამო) ალექსეი იაშინთან დუეტში მთლიანად გაამჟღავნებს თავის პოტენციალს, ნიუიორკელებს ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი წყვილი ეყოლებათ. დროა, რიკ დიპიეტროც (2000 წლის დრაფტის 1) ელიტარულ გოლკიპერად იქცეს.

### ნიუ იორკ რეინჯერსი

*მოვიდნენ:* მარტინ სტრაკა, მარტინ რუჩინსკი, მარეკ მალიკი, სტივ რუჩინი, ვილე ნეიმინენი, მიხალ როზშივალი.

*წავიდნენ:* ბობი ჰოლიკი, ერიკ ლინდროსი, მაიკ დანემი, მარკ მესიე.

2003-04: +27=15-40 და მე-13 ადგილი კონფერენციაში

**წინა** სეზონისაგან განსხვავებით, „რეინჯერსისგან“ აღარაფერს არ ელიან (სპეციალისტები მათ დივიზიონში მაქსიმუმ მეოთხე ადგილს უწინასწარმეტყველებენ), მაგრამ იქნებ ეს უკეთესია ამ გუნდისთვის, რომელიც პროგნოზებს არასოდეს ამართლებს. თანაც იარომირ იაგრიც საზაფხულო ტრეიდების შემდეგ თავს ისე გრძნობს, როგორც მშობლიურ ჩეხეთის ნაკრებში.

### პიტსბურგ პინგვინსი

*მოვიდნენ:* ჯონ ლეკლერი, ზიგმუნდ პალფი, სერგეი გონჩარი, ჟოსლენ ტიბო, ლაილ ოდელეინი.

*წავიდნენ:* მარტინ შტრბაკი, ჯონ სიმი

2003-04: +23=12-47 და XV ადგილი კონფერენციაში.

**გუნდი-სენსაცია,** გუნდი-ფავორიტი, გუნდი-მოლოდინი — ნებისმიერი ეს ეპითეტი შეეფერება „პიტსბურგს“. წარმოუდგენელია, მაგრამ მაჩანჩალა აუტსაიდერისგან კლუბი მრისხანე ძალად იქცა, რომლისაც ახლა ლიგაში ყველას ეშინია. მიზეზი ყველასთვის ცნობილია: რამდენიმე გონივრული ტრეიდი და, რაც მთავარია, ვუნდერკინდი სიდნი კროსბი, რომლისგანაც პირველ სეზონშივე უდიდეს შედეგებს ელიან და რომლის გუნდში მოხვედრის შემდეგ თავად მარიო ლემიეც კი აგერ, უკვე მერამდენედ აყვავდა. საგამოფენო თამაშებში „სუპერმარიო“ ნორჩივით დაფრინავდა და ღმერთმა ქნას, ძალა მთელ სეზონში ეყოს.

## ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი

### ოტავა სენატორსი

*მოვიდნენ:* დანი ჰიტლი, დომინილ ჰაშეკი.

*წავიდნენ:* მარიან ჰოსა, ტოდ უაიტი, მარტინ პრუსეკი, კერტის ლეშიშინი.

2003-04: +43=16-23 და თასის მერვედფინალი

**„ოტავასგან“** წლეულს ყველაფერია მოსალოდნელი. სპეციალისტებიც კი სრულიად საპირისპირო პროგნოზებს გამოთქვამენ. ამის მიზეზი დომინიკ ჰაშეკია. კლუბი დიდ იმედს ამყარებს „დომინატორზე“, მაგრამ შეძლებს თუ არა 40 წლის მეკარე ძველი ფორმის დაბრუნებას (თანაც ორი გამოტოვებული სეზონის შემდეგ), ძნელი სავარაუდოა. სხვამხრივ „სენატორებს“ წარმატების ყველა საწინდარი აქვთ, მით უმეტეს, რომ წლეულს წესების შეცვლის შედეგად თამაშის ტემპის ამაღლებასა და უფრო შეტევისკენ გადახრას ელიან, რაც მხოლოდ ხელს უწყობს ამ გუნდს.

### ტორონტო მეიპლ ლიფსი

*მოვიდნენ:* ერიკ ლინდროსი, ჯეფ ონილი, ჯეისონ ელისონი, მარიუშ ჩერკავსკი, ალექსანდრ ხავანოვი.

*წავიდნენ:* ალექსანდრ მოგილნი, ჯო ნიუნდაიკი, გერი რობერტსი, ბრაიან ლიჩი, ფრენსისი.

2003-04: +45=13-24 და თასის მეოთხედფინალი

**აქაც** მრავალი კითხვაა. საკმარისია ახალშეძენილთა სიას გადავხედოთ: მრავალჯერ ტვინშერყეული ლინდროსი, მძიმე ტრავმებისაგან ეს-ესაა გამოჯანმრთელებული ჯეისონ ელისონი, ბოლო სეზონში უჩვეულოდ დაბალშედეგიანი ჯეფ ონილი... ამ ნაზავისგან რა გამოვა, არავინ იცის. ამას კიდევ ოუენ ნოლანის ხანგრძლივი საკონტრაქტო დავა ემატება.

### მონრეალ კანადიენსი

*მოვიდნენ:* მეტიუ დანდენო, რადეკ ბონკი.

*წავიდნენ:* პატრის ბრისბუა, იანიკ პერო, ჯეისონ უორდი.

2003-04: +41=11-30 და თასის მეოთხედფინალი

**ცხადია,** თასზე ოცნება დიდებულ წარსულს მიჩვეული მონრეალელი ქომაგისთვის ჯერ ნაადრევია, მაგრამ კანადური კლუბი რომ სწორი მიმართულებით მიდის, ესეც ფაქტია. თანაც წლეულს გუნდის გენერალური მენეჯერი ბობ გეინი გახდა — წარსულში „მონრეალის“ დიდებული ჰოკეისტი, რომელმაც უკვე გამოიჩინა თავი „დალასში“ მუშაობისას. ბევრი იქნება დამოკიდებული ასევე საკუ კოივუს ჯანმრთელობაზე და იმაზე, თუ რა დაემართება წლეულს ალექსეი კოვალიოვს.

### ბოსტონ ბრუინსი

*მოვიდნენ:* ბრაიან ლიჩი, ალექსეი ჟამნოვი, შონ მაკიკერნი, ბრედ ისბისტერი.

*წავიდნენ:* სერგეი გონჩარი, მარტინ ლაპოინტი, მაიკ კნუბლი, ბრაიან როლსტონი.

2003-04: +41=22-19 და თასის მერვედფინალი

**წლები** მიდის, მთავარ კითხვაზე პასუხი კი კვლავ არ ჩანს. უდავოდ ძლიერი შემადგენლობის მქონე „დათვებს“ პლეი ოფში ნებისყოფა არ ჰყოფნით და გუნდი ვერ აღწევს სერიოზულ წარმატებებს. მორიგი გადახალისების შემდეგაც ღიად დარჩა ეს საკითხი, მით უმეტეს, რომ ბოსტონელებმა ბევრი ვერაფერი შემატეს დაცვით ხაზს, რომელიც ტრადიციულად უსუსტესია გუნდში. თანაც დღემდე ჭირვეულობს უკანა ხაზის მთავარი საყრდენი ნიკ ბოინტონი. სამაგიეროდ, „დათვებს“ ჰყავთ ჯო ტორნტონი, რომელიც უკვე იქცა ლიგის ერთ-ერთ მთავარ მშვენებად.

### ბუფალო სეიბრსი

*მოვიდნენ:* ტეპო ნუმინენი, ტონი ლუდმანი.

*წავიდნენ:* ალექსეი ჟიტნიკი, მიროსლავ შატანი.

2003-04: +37=11-34 და მე-9 ადგილი კონფერენციაში

**წინა** წლებისგან განსხვავებით, „ბუფალომ“ გამოასწორა ეკონომიური მდგომარეობა და ახალი მეპატრონეების მეშვეობით გაკოტრება აღარ ემუქრება. ახლა „ხმლების“ ფანებს ისღა დარჩენიათ, ელოდონ, თუ როდის იქცევა იმედისმომცემი ახალგაზრდა გუნდი რეალურ ძალად. ეტყობა, ამ სეზონში ეს ძნელი სავარაუდოა, მით უმეტეს, მთავარი მეგოლე შატანის გარეშე.

**სამველ ლარიბიანი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი
## 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

# სან-ლუისში ყველაზე კარგი ტოპალოვია



ანანდი ტოპალოვს 1,5 ქულით ჩამორჩა

**V ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 4,5 ქულა |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 3 |
| 3 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 3 |
| 4 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 2,5 |
| 5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2 |
| 6 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1,5 |
| 8 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1,5 |

**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ მოჭადრაკეები კვლავ საჭადრაკო დაფას მიუსხდნენ და დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს.

მეხუთე ტურში ყველაზე ყოჩაღი ისევ ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი აღმოჩნდა. მან შავი ფიგურებით უახლოეს მდევარ რუს პეტერ სვიდლერს მოუგო და ლიდერობა უფრო განიმტკიცა.

ტოპალოვმა სვიდლერთან ნაიდორფის ვარიანტი გაითამაშა, ჯარი ჭკუიანურად განავითარა და თეთრები თავისსავე ტერიტორიაზე ჩაკეტა. რუსმა თავის გადასარჩენად დაიწყო ბრძოლა, თუმცა მანევრირებისას რაღაც სწორად ვერ გათვალა და მდგომარეობა უფრო გაირთულა. ტოპალოვი B ხაზზე მდგარი ორი პაიკის გაყვანას შეუდგა, სვიდლერი კი მიხვდა, რომ თამაშს ვეღარ უშველიდა და 44-ე სვლაზე ხელები აწია.

ექსპერტები ტოპალოვის მომზადებას ფანტასტიკურს უწოდებენ და უკვე ჩემპიონადაც ასახელებენ.

ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა უნგრელ პეტერ ლეკოსთან სვეშნიკოვის ვარიანტით სიცილიური დაცვა გაითამაშა და თავიდანვე მრისხანედ შეუტია. ინდუსმა მალე მოიპოვა უპირატესობა, რის გამოც ყურადღება ცოტა მოადუნა და დაისაჯა კიდეც. უნგრელმა ერთ მომენტში შეცდომაზე გამოიჭირა ანანდი, პოზიცია აურია და ნახევარი ქულა გადაარჩინა.

ყაიმით დასრულდა ორი დარჩენილი შეხვედრა და ტოპალოვმაც 1,5 ქულით გადაუსწრო უახლოეს მდევარს.

**ლაშა ბებეშკორი**

# ფიდემ ყავა აკრძალა და არაყი დაუშვა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე მოჭადრაკეების დოპინგზე შემოწმებას ითხოვს. ორ კვირაში სან-ლუისს, როგორც ვიუწყებოდით ინგლისელი ჟანა ბელინი ეწვევა და ოთხ საუკეთესო მოჭადრაკეს სისხლს გაუსინჯავს. თითო ანალიზი 200 დოლარი დაჯდება.

**მოჭადრაკეებს** რომ დოპინგ კონტროლი სჭირდებათ, ახალი ამბავი არ არის. ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს კარგა ხანია, სურს, რომ ჭადრაკი ოლიმპიურ სახეობებში შეიტანონ, ოლიმპიური კომიტეტი კი დოპინგის წინააღმდეგ იბრძვის...

ფიდე ცდილობს, რომ ოლიმპიურ კომიტეტთან არ შერცხვეს და მის სამებლად ახალი წესები შემოიღო.

ფიდეს მიაჩნია, რომ აკრძალული პრეპარატი შესაძლოა, ყავაშიც აღმოჩნდეს და მოჭადრაკეებს ამ სასმელზეც კონტროლი დაუწესა. 4 ჭიქა ყავა 6 საათის განმავლობაში — ასეთია ფიდეს გადაწყვეტილება. მაგრამ თუ მოჭადრაკეები ყავაში მეტ კოფეინს მოითხოვენ, დოზა ორ ჭიქამდე შემცირდება.

ახლა კი მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატებს მოვუსმინოთ.

„დოპინგს ჭადრაკში ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც ეს ძალოსნობაშია" — განაცხადა ფიდეს მე-12 ჩემპიონმა რუსმა ანატოლმა კარპოვმა.

„დოპინგი ჭადრაკში, ეს ხომ აბსურდია, მოჭადრაკე უნდა შემოწმო, ყურში რაიმე „ხოჭო" ხომ არა აქვს გაჩრილი, რომელიც კომპიუტერთან არის მიერთებული" — მიაჩნია პლანეტის ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკეს რუს გარი კასპაროვს".

„თუ ჭადრაკი ოლიმპიურ სახეობაში შევა, ასეთი შემოწმება აუცილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცი, რომელია აკრძალული პრეპარატი" — ამბობს ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი.

თუ ჩემპიონატში მონაწილე რომელიმე მოჭადრაკეს ეს პრეპარატი აღმოუჩნდება, იგი სამი თვით ან ორი წლით „დაისჯება".

პირველი დოპინგშემოწმება 1999 წელს ესპანეთში, კუნძულ მაიორკაზე იყო. მაშინ ეს ტესტი ყველასთვის უცნობმა ხორხე მოლინამ ჩაიტარა და მას შემდეგ მხოლოდ ფიდეს ახალგაზრდულ ტურნირებზე დაინერგა.

აქვე ერთ საინტერესო ამბავსაც გავიხსენებთ. 2001 წელს, როცა მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა, ილუმჟინოვმა მონაწილეებს არყის დალევის უფლება მისცა, რადგანაც ამ სასმელში ვერანაირი აკრძალული პრეპარატი ვერ აღმოაჩინა. მიუხედავად ამისა, ფიდემ მოჭადრაკეებს შემდეგ მაინც დოზა დაუწესა, რადგან შეშინდა, ვაითუ, დათვრნენ და თამაშისას ერთმანეთს რაიმე აუტეხონ.

# სუფლიორი სამოსში

ინგლისის სამეცნიერო ჟურნალმა „ნიუ საიენტისტმა" სპორტულ სამოსთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ამბავი გამოაქვეყნა.

ჰოლანდიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს სპორტული სამოსი, რომელშიც ჩამონტაჟებულია ელექტრონული გადამცემი და ვიბრაციული ფირფიტები, რომელთა წყალობითაც სპორტსმენებს შეუძლიათ გაიგონ, თუ რამდენად ოპტიმალურად იყენებენ ისინი საკუთარ ძალას.

**სამოსში** ჩამონტაჟებული გადამცემები აღნიშნავენ ვარჯიშისას სპორტსმენის სხვადასხვა კუნთების აქტიურობას. საჭიროების შემთხვევაში ვიბრაციით სპორტსმენი ღებულობს სიგნალს, რომ საჭიროა დატვირთვის გაზრდა.

ამ მოწყობილობის შემქმნელთა მტკიცებით, „სპორტსმენი უფრო სწრაფად ღებულობს სიგნალს, ვიდრე ამის თაობაზე მწვრთნელი შესძახებს".

ჯერჯერობით ახალი სპორტული ფორმა ლაბორატორიულ პირობებში მხოლოდ ნიჩბოსნებმა გამოსცადეს. გადამცემები, რომლებიც წელთან და მუხლებთან იყო, აფიქსირებდნენ სპორტსმენის მოძრაობათა სისწრაფეს და მათ კოორდინაციას. თუ ნიჩბოსნები რიტმს კარგავდნენ, ვიბრაციული ფირფიტები მათ სუფლიორივით კარნახობდნენ და რიტმის აღდგენიკენ მოუწოდებდნენ.

მეცნიერებმა შექმნეს აგრეთვე მოციგურავეთა ჟილეტები, რომლებიც აღჭურვილია ისეთივე ვიბრაციული ფირფიტებით მხრებსა და თეძოებზე.

ახალი ტექნოლოგია მიაღწევს ფეხბურთელებამდეც, რომლებიც ბურთს არასწორად ურტყამენ. მეცნიერები მათთვისაც ამუშავებენ სპორტულ ფორმას, რომელსაც მოქმედებაში მწვრთნელი დისტანციური მართვით მოიყვანს.

# სექსის მძლეველი ფოტოეროტიკა

**ვინუს** და სერენა უილიამსები მიიჩქივენენ მამაკაცთა ჟურნალებისთვის პოზირებას. ამას წინათ, უილიამსთაგან უმცროსმა სერენამ მთლად გაიხადა და გადაიღო ფოტოები, რათა ამგვარად დახმარებოდა შიდსით ინფიცირებულებს. არც ვინუსმა დაახანა და ჟურნალ „სპორტ ილუსტრეიტედისთვის" გადაიღო სურათები, რომლებშიც შიშველი არა, მაგრამ საკმაოდ გახდილი კი იყო.



უილიამსების მთელი ოჯახი იელოვას მიმდევარია. როცა ვინუსი და სერენა პროფესიონალებში გადაბარგდნენ, მათ დედას ძალზე აფრთხობდა ის ყოველივე, რაც შვილებს მაცდურად წინ დახვდებოდა. ეტყობა, დედამ შვილები ყველა ცდუნებას მაინც ვერ აარიდა.

## ველორბოლა

# ირლანდიელი პედლებს რუსეთისთვის ატრიალებს

ირლანდიელი პატ მაკკუაიდი აირჩიეს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (გსშ) პრეზიდენტად. ამ ორგანიზაციის ექსმეთაურ ჰოლანდიელ ჰეინ ვერბრიუგენის მემკვიდრეს 42-დან 31 კაცმა მისცა ხმა.

**ირლანდიელი** ფუნქციონერის მთავარი ოპონენტი იყო ესპანელი გრიგორი მორენო, ვერბრიუგენი კი არჩევნებში არ მონაწილეობდა. თავისი კანდიდატურა მოხსნა აგრეთვე მალაიზიელმა დარშან სინგხმა.

მაკკუაიდის გამარჯვება ძალზე გაუხარდათ რუსებს და ასეთ გადაწყვეტილებას მათ ოპტიმალური უწოდეს. საქმე ისაა, რომ ირლანდიელის შეხედულებები ველოსპორტის განვითარების თაობაზე რუსეთის წარმომადგენელთა ინტერესებს ემთხვევა.

სხვათა შორის, მაკკუაიდის წინამორბედი ვერბრიუგენი არის „პრო ტურ"-ის სისტემის ინიციატორი, რომელიც ამ სეზონში მოქმედებს, რამაც მსოფლიოს თასი შეცვალა.

# ჩიპოლინი ფრაკში

გადამდგარი იტალიელი ველოგარსკვლავი, მარიო ჩიპოლინი რივაში ყოფილა და იქაურ ტელეშოუში მიუღია მონაწილეობა, თანაც სამეჯლისო ცეკვით. პარტნიორად პროფესიონალი მოცეკვავე მარია ალექსევა ჰყოლია.



# წამოქცევა



ატლანტაში ბურთაობაა გახურებული. მინესოტელი სტუმარი ჯერმეინ კივინსი მასპინძელ კიტ ბრუკინგის წამოქცევას ახერხებს. თუმცა, საბოლოოდ მაინც მასპინძლები იგებენ.

# ვერას პირველი დღე

იაპონიის ღია პირველობას ტოკიოში გვარიანი საპრიზო ფონდი აქვს: 860 ათასი ამერიკული დოლარი. რუსმა ვერა ზვონარიოვამ, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი, 6:2 7:6 მოუგო კოლუმბიელ კატარინა კასტანოს და ავტოგრაფებიც ჩამოარიგა.



# კაიზერი მოგზაურობს

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი ფრანც ბეკენბაუერი იმ ქვეყნებში მოგზაურობს, რომლებიც უკვე გავიდნენ ფინალურ ეტაპზე. წინა დღეს ის ირანში იყო, სადაც თავისი პლაკატის იერმა გააკვირვა, ახლა კი საუდეთშია და იქაური ფეხბურთის მამას სულთან ბინ ფაჰდს ხვდება. წინ კორეა და იაპონიაა.





# ჩალაიას ოქრო

ქალთა კრივის მსოფლიო ჩემპიონატი რუსულ პოდოლსკში მიმდინარეობს. 60 კილოგრამამდე წონაში ოქრო ტატიანა ჩალაიამ მოიგო, რომელმაც ფინალში თურქი გულსიმ თათარი დაამარცხა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოტსხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზეიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge